# საარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 5 სექტემბერი 2002 №167 (1689) | ფასი 50 თეთრი

# ჟორდანიამ ნაკრების ქულები და ფულები გადააბა

## ჩივაძემ იაშვილი და ჯანაშია ვერ გადააბა



ალექსანდრე იაშვილი

რუსთა მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა ადრე ნათქვამი გუშინაც გაიმეორა, თანაჯგუფელთაგან ყველაზე უკეთ საქართველოს ნაკრებს ვიცნობო. ამ განცხადებაში ახალი და მოულოდნელი არაფერია, ისევე როგორც იმავ გაზაევისგან ფავორიტებად რუსთა და ირლანდიელთა მიჩნევაში.

მაშ, საქართველოს ნაკრებს რაღა? რა და, პრემია, თუკი საბოლოო ცხრილში რუსეთსა ან ირლანდიაზე წინ აღმოჩნდება — ორივეს ერთდროულად გადასწრებაზე ფიქრი მეტისმეტი სითამამეა. პრემიის დაწესება საბოლოო შედეგზე და არა ცალკეულ მატჩებზე ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას ახალი პროექტია, რომელზეც გუშინ გვესაუბრა.

ქომაგისთვის კი ფეხბურთელთა საპრემიო თანხის დათვლაზე მნიშვნელოვანი სანაკრებო ქულების დათვლაა და თავად მწვრთნელ-მოთამაშეთათვისაც ასე უნდა იყოს. ბოლოს და ბოლოს, ნაკრების ბირთვს ის ფეხბურთელები შეადგენენ, ბარე ათი წელია, ერთად რომ თამაშობენ და ღირებულისთვის ჯერ არაფრისთვის მიუღწევიათ. დრო კი მიდის, ქომაგი დაიღალა...

სხვათა შორის, გერმანული დაბა რუიტი, სადაც საქართველოს ნაკრები საშვეიცარიოდ დაბანაკდა, ის ადგილია, გერმანიის ეროვნული გუნდი მალიმალ რომ აწყობს შეკრებებს — ჩვენებურებს მოსამზადებლად იდეალური პირობები აქვთ, მთავარია, საქმეში გამოიყენონ.

სადღეისოდ კი საქმე ასეა: ზაზა ჯანაშია გუნდს შეუერთდა, ხოლო ალექსანდრე იაშვილი ბოლო წამს შემადგენლობიდან ამოვარდა. მიზეზი ტრავმაა, რომელიც ფრაიბურგელმა ფორვარდმა კი მოიშუშა, მაგრამ ერთი კვირა გაუცდა და ნაკრების ხელმძღვანელობამ ჩათვალა, კვირამდე სრულ მზადყოფნაში ვერ იქნებაო.

ნაკრები შვეიცარიაში ხვალ გაემგზავრება.

იხილეთ მეორე გვერდი



# NBA ლანგარზე თბილისში ჩამოტარებით

## მოგაწყოთ თბილისში კემპი! შესთავაზეს დრექსლერმა და ბზდელიკმა ნიკა ცქიტიშვილს

ოდესღაც თბილისში ნბა ჩამოვიდა. მაშინ ვრცელი ქვეყნის ნაწილი ვიყავით და „ატლანტა ჰოქსი" ამ ქვეყანას სტუმრობდა. მოგვიანებით, როცა ვრცელი ქვეყნის პროვინციიდან ცივილიზებული სამყაროს პროვინციად ვიქეცით, კალათბურთის ჯადოქართა ჩვენში ხილვაზე ოცნებაც აგვიკრძალა თავმოყვარეობის შემლახველმა რეალობამ.

„დენვერ ნაგეტსის" მწვრთნელმა ჯეფ ბზდელიკმა და მისმა ახალგამოცხვარმა ასისტენტმა, ლეგენდარულმა კლაიდ დრექსლერმა თბილისში ჩამოსვლის სურვილი გამოთქვეს. „მოდი, „სკიტა", შენს სამშობლოში სავარჯიშო კემპი მოვაწყოთ" — უთხრეს მათ „დენვერის" ქართველ ახალბედას. თურმე არც ისე შორს ყოფილა ნბა, როგორც წარმოგვიდგენია. არა, შორს როგორ არაა, თან ძალიან, მაგრამ 19 წლის ბიჭმა, ნიკა ცქიტიშვილმა მოაახლოვა გასაგებია, რომ დენვერელთათვის თბილისში მინი სავარჯიშო ბანაკის მოწყობა დაახლოებით იგივეს ნიშნავს, რასაც მოცლილი თბილისელი ძიებისთვის კუს ტბაზე საძუნძულოდ ასვლა, მაგრამ კარგად გავიაზროთ, რას ნიშნავს ეს ჩვენთვის.

სამწუხაროდ, იდეა გვიან დაიბადა, ოკეანგაღმა სეზონის დაწყებას ორი თვეც არ უკლია და ახლა ამერიკელებს საქართველოსთან ეგზოტიკურ ქვეყანაში გასეირნების დრო არა აქვთ. მაგრამ მთავარი ისაა, რომ იდეა არსებობს და როგორც ნიკამ ინტერვიუში გვითხრა, სავსებით რეალურია, ჩანაფიქრს გაისად შეესხას ხორცი.

ნიკა ცქიტიშვილი კი ისედაც და ასედაც ნბაშია და თავგამოდებით ვარჯიშობს, ლანგარზე აქვს ზღაპრული ლიგა და თავს მოლოდინების უფლებას ვერ მისცემს.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

*სამი დღეც და საქართველოს ეროვნული გუნდი ახალ შესარჩევ ციკლში ჩაებმება. პირველადაა, რომ ნაკრები ტურნირს უცხოური შეკრებით იწყებს.*

*ალექსანდრე ჩივაძე და მისი სამწყსო ჯერაც გერმანულ დაბა რუიტში არიან და შვეიცარიულ ბაზელში ხვალ ჩავლენ. რუიტშია სფფ-ის ხელმეორედ არჩეული პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია*



# ჩივაძემ საკრებულოში ჟორდანიას უხმო

## იუბილარმა პრეზიდენტმა ფეხბურთელები დამოძღვრა — იცხოვრეთ მოგონებებით

გუშინწინ ბატონ მერაბს დაბადების დღე ჰქონდა და ეროვნული ნაკრების კრებაც იმავე დღეს ჩატარდა. ჟორდანიას რუიტში შევეხმიანეთ და, ცხადია, პირველ რიგში კრებაზე ვკითხეთ.

**— ეს ალბათ განსაკუთრებული კრება იყო, რადგან ნაკრები ახალ შესარჩევ ეტაპს იწყებს...**

— საერთოდ, ფეხბურთელებს ყოველი თამაშის წინ ვხვდებით ხოლმე სასაუბროდ, ეს ჩვეულებრივი ამბავია. ამ კრებაზე დასწრება ალექსანდრე ჩივაძემ მთხოვა და მეც, რა თქმა უნდა, დავთანხმდი. ფეხბურთელებმა ფედერაციის პრეზიდენტად ხელმეორედ არჩევა მომილოცეს. ისე მოხდა, რომ ამ მილოცვას ჩემი დაბადების დღეც დაემთხვა.

ნაკრების ძირითადი ბირთვი თითქმის უკვე ათი წელია, ერთად მოდის და მსურს, რომ მათ კარგი რამ ჰქონდეთ მოსაგონარი — აი, ძირითადად ამაზე ვისაუბრებთ.

**— რუიტის შეკრებით კმაყოფილები ხართ თქვენ და ფეხბურთელები?**

— აქაური პირობებით მართლაც ძალიან კმაყოფილნი ვართ. იშვიათია, რომ ფეხბურთელებმა არ დაიწუწუნონ რამეზე, მაგრამ ამჯერად მსგავსი არაფერი ხდება — პირობები იდეალურია. აქ ხომ გერმანიის ნაკრებიც ემზადება ხოლმე და ჩვენც იგივე პირობები გვაქვს. მწვრთნელ-ფეხბურთელები ძალიან სერიოზულად ემზადებიან. დღეს რუიტში ჩამოვიდა ზაზა ჯანაშია, ჩამოვიდნენ ფედერაციის გენმდივანი ვალერი ჩოლარია და ვიცე-პრეზიდენტი რომან შოთაძე.

**— გუნდის პრემირების პრინციპი და თანხა როგორი იქნება?**

— პრემირების საკითხს აქვე გადავწყვეტთ ერთ-ორ დღეში. პრინციპი ალბათ ისეთივე აღარ იქნება, როგორიც ადრე იყო — გუნდი თითოეულ თამაშზე კი არ მიიღებს პრემიას, არამედ საბოლოო შედეგის მიხედვით. შედეგად კი ცხადია, ჯგუფში პირველი ან მეორე ადგილი ჩაითვლება. თუმც შესაძლოა, პირველ ორ თამაშზე მაინც დავაწესოთ პრემიები.

**დავით თაგართქილაძე**



რუიტის სპორტსკოლა, სადაც საქართველოს ნაკრები ბინადრობს

# შლაგბაუმი იაშვილს?

შოთა არველაძე, გიორგი დემეტრაძე და ალექსანდრე იაშვილი — აი, ეს ფორვარდები გამოიძახა შვეიცარიასთან 8 სექტემბრის მატჩისთვის ალექსანდრე ჩივაძემ.

ამ სამეულს საქართველოს ეროვნული გუნდის დამრიგებელმა მოგვიანებით დაუმატა ჯანაშია, რომელიც გუშინ ჩაფრინდა გერმანიაში, სადაც ნაკრებია დაბინავებული.

მაგრამ მოხდა ისე, რომ ალექსანდრე იაშვილს ბოლო მომენტში ნაკრებში არ დაუძახეს. ალბათ გახსოვთ, 21 აგვისტოს თურქეთ — საქართველოს ამხანაგური შეხვედრისას იაშვილი ტრავმის გამო ვერ ჩავიდა ტრაბზონში. მაგრამ ახლა ცოტა უცნაურია, თუ რატომ უთხრეს უარი უკვე გამოძახებულ იაშვილს, თუმც ისიცაა, რომ გასულ უქმეებზე გერმანიის თასის პირველი ეტაპის მატჩში იაშვილს არ უთამაშია.

ფრაიბურგის ქართველ შემტევს გუშინ ტელეფონით დავუკავშირდით და სწორედ ამაზე დავეკითხეთ.

— კუნთი კი მქონდა დაჭიმული, მაგრამ ახლა თავს კარგად ვგრძნობ და ოთხი დღეა, რაც გუნდთან ერთად ვვარჯიშობ. ნაკრებში შვეიცარიასთან მატჩისთვის კი გამომიძახეს, მაგრამ რუიტში აღარ მივდივარ. ნაკრების ხელმძღვანელობას ვესაუბრე და ასე გამოვიდა.

**— რატომ, მიზეზად რა თქვეს?**

— ამ თემაზე საუბარი არ მინდა.

**— გასაგებია, მაგრამ, შენი აზრით, მაინც რატომ შეიკავეს ბოლო მომენტში თავი?**

— ნაკრებს მოგვიანებით უნდა შევუერთებოდი, მაგრამ რახან ტრავმის გამო ერთი კვირა გამიცდა, ამ ეტაპზე ასე ჩათვალეს საჭიროდ.

**დავით თაგართქილაძე**



ალექსანდრე იაშვილი რუიტში არ შეუშვეს

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქე

# გაზაევი ჩივაძესთან ალავერდს გადადის

## ნიგმატულინს ირლანდია შემოელანძღა

— ირლანდიელთა დასამარცხებლად ძალთა სრული მობილიზება და საბრძოლო განწყობის ამაღლება დაგვჭირდება. სხვაგვარად არაფერი გამოგვივა — განაცხადა რუსეთ — ირლანდიისწინა კომენტარში ვალერი გაზაევმა და ევრო 2004-ის მეათე შესარჩევ ჯგუფში ირლანდია მისი გუნდის უმთავრეს კონკურენტად დაასახელა.

რუსთა ბანაკში, ცოტა არ იყოს, პანიკაა. ექიმები თავს დასტრიალებენ ტრავმირებულ ფეხბურთელებს. დენის პოპოვი და ვიჩესლავ დაევი გუნდთან ერთად კი არიან, მაგრამ ახლაც ძლიერი ტკივილები აწუხებთ და მათი თამაში 7 სექტემბერს დიდად საეჭვოა. ასევე შეუძლოდაა სერგეი იგნაშევიჩი. „ლოკომოტივის" თავდამსხმელი რუსლან პიმენოვი კი მწვრთნელებმა დაითხოვეს — მას გერმანიაში უტარებენ სამედიცინო გამოკვლევას. პიმენოვის ნაცვლად ნაკრების თავკაცმა თავისი შეგირდი დმიტრი კირიჩენკო მიიწვია. ცსკა-ს ფორვარდი უკვე შეუერთდა ეროვნულ გუნდს.

ამის მიუხედავად, გაზაევი არც იხტიბარს იტეხს და არც წუწუნებს, იდეალური იქნება, თუკი ევრო 2004-ის შესარჩევი ტურნირის საშემოდგომო მატჩებს წარმატებით ვითამაშებთო, ამბობს. შეგახსენებთ, რომ 12 ოქტომბერს თბილისში საქართველო — რუსეთია. ოქტომბერი კი შემოდგომაა... ასე რომ...

რუსეთის ნაკრების კარის დარაჯმა რუსლან ნიგმატულინმა კი ირლანდიელები გაკიცხა. მისი თქმით, „სამყურებთან" თებერვალში ნათამაშევი ამხანაგური მატჩი ჯერაც არ დავიწყებია...

— ისინი მუდამ იმას ცდილობენ, დაგეჯახონ, ჩუმად ჩაგარტყან... როცა გუნდში ასეთი მაღალი დონის ფეხბურთელები თამაშობენ, ვფიქრობ, ასეთი მიუღებელი ხერხები არ უნდა გამოიყენონ — დაიჩივლა ნიგმატულინმა.

ამასობაში ტრავმებმა ირლანდიასაც დარია ხელი. ინგლისური „ნიუკასლის" მეკარე შეი გივენი ზურგის ტკივილმა შეაწუხა და საქმიოც გახდა.

— ბოლოს ძალიან დატვირთული კალენდარი მქონდა და ამან თავი იჩინა. მართალია, ახლა თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ რუსეთთან თამაში ჯერაც საეჭვოა — განაცხადა გივენმა.

ბოლოს ისევ ვალერი გაზაევს მოვუსმინოთ: „ევრო 2004-ის შესარჩევ მეათე ჯგუფში მეტ-ნაკლებად თანაბარი გუნდები მოხვდნენ. ყველაზე უკეთ კი საქართველოს ნაკრებს ვიცნობ. კარგად ვიცი ქართველთა შესაძლებლობები. ისიც ვიცი, როგორ უნდა ვითამაშოთ მათ წინააღმდეგ".

მოგეხსენებათ, ფეხბურთელობისას გაზაევმა ცოტა ხანს თბილისის „დინამოში" ითამაშა, მერე კი არაერთი ქართველი ფეხბურთელი გაუწვრთნია ვლადიკავკაზის „ალანიაში" და ახლა მათი უმეტესობა საქართველოს ნაკრების წევრია. ამიტომაც, გაზაევის არცთუ უსაფუძვლო სიტყვები ერთგვარი გამოწვევა-ალავერდია ალექსანდრე ჩივაძის მიმართ. ასე რომ, ჯერი ჩივაძეზეა — დასალევი უნდა დაილიოს!

**კახა შალამბერიძე**



ვალერი გაზაევი

# ლაშა ჯაკობიას ბედის ბორბალი მონსში მიგორდა

**საქართველოს** თვრამეტწლამდელთა და ახალგაზრდული ნაკრებების ფორვარდყოფილი ლაშა ჯაკობია ერთ-ერთი პირველთაგანია, ლეგიონერის სახელი რომ დაირქვა. გამორჩეული ნიჭისა და მონაცემების მქონე ჯერაც უწვერული ახალგაზრდა უპრობლემოდ ჩაირიცხა ბელგიურ „სტანდარდში". იმ დღიდან ჯაკობიას კარიერაში თითქოს აღმასვლა უნდა დაწყებულიყო, მაგრამ...

ჯანმრთელი თუ ტრავმირებული პირველი დაძახებისთანავე ნაკრების მწვრთნელთა განკარგულებაში ცხადდებოდა, გოლს გოლი მოსდევდა და ქართველი თვრამეტწლამდელებიც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდნენ.

არა ერთი და ორი შემთხვევა ვიცით, როცა ჯაკობიას ტკივილგამაყუჩებელი ნემსებით უთამაშია და... ძალდატანებამ საზიანო შედეგი მალევე გამოიღო. საზარდულები ისე დაუზიანდა, რამდენჯერმე საოპერაციო შეიქნა.

გადიოდა თვეები, წლები და ჯაკობია ბელგიელ დასტაქარებს თავს ვეღარ აღწევდა. „სტანდარდმაც" ითმინა და ბოლოს ქართველის გასხვისებას დაჰყაბულდა. ეს ის დროა, როცა ბელგიურ კლუბში წამყვან თავდამსხმელებად ძმები მბენზები ითვლებოდნენ და ტრავმებისგან განაწამები, ფორმადაკარგული ჩვენებური მათ კონკურენციას ვერ უწევდა.

„სტანდარდიდან" დაბალლიგელ „ვეზეტში" გადაბარგებაც თითქოს უკანგადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ ჯაკობიას ნიჭით დაინტერესებული ბელგიელები ჩვენებურს ისევ ენდობოდნენ. დასტურად ისიც გამოდგება, რომ ლაშა ცოტა ხანში ისევ უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა. მისი მყიდველი უმაღლესლიგელი „აალსტი" აღმოჩნდა, რომელსაც უძლიერესთა შორის ადგილის შესანარჩუნებლად უწევდა ჭიდილი.

თავიდან ჯაკობიას ახალ კლუბში საქმე სასიკეთოდ აეწყო, გოლიც გაიტანა, მაგრამ ისევ ტრავმამ და უიღბლობამ დარია ხელი. მკურნალობის პროცესი გაიწელა, „აალსტშიც" მიივიწყეს. უიმედო მდგომარეობაში მყოფი ფრანგული პსჟ-ს წარმომადგენლებმა გამოისყიდეს და ფორმის აღსადგენად ბელგიური მეორე ლიგის „ლიეჟში" გაანათხოვრეს.

ასე იგორა ჯაკობიას ბედის ბორბალმა დღემდე. ის ჯერაც ახალგაზრდაა, მისი ნიჭიერებაც იმდის საბაბს ტოვებს, ლაშა კიდევ ერთხელ ეცდება უიღბლობას დამარცხოს — მან ევროპულ სატრანსფერო სეზონში კიდევ ერთი, რიგით მეხუთე ბელგიური კლუბის კარზე დააკაკუნა.

უმაღლესი ლიგის „მონსმა" ჩვენებური მიიღო. სატრანსფერო თანხა და კონტრაქტის ხანგრძლივობა უცნობია, თუმც მთავარი ხომ ისაა, ლაშა ჯაკობიამ ითამაშოს.

**მამუკა ძვანტალიანი**

## გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი

ჰამბურგი (მ) 0:0 დინამო

სამხრეთ რეგიონალლიგა
VIII ტური

ირფურტი 1:1 აინტრახტი (მ)
აალენი 1:2 კიკერსი
შვაინფურტი 1:3 დარმშტადტი
ბაიერნი (მ) 1:0 რეგენსბურგი
აუგსბურგი 3:0 ზაარბრიუკენი
ვეჰენი 2:1 ჰოფენჰაიმი
პფულენდორფი 1:1 ზიგენი
ოფენბახი 2:3 უნტერჰახინგი

## ჩეხეთი

თასის 1 ეტაპი

კლადნო 0:1 ტეპლიცე

## საფრანგეთი

II დივიზიონი. VI ტური

ბოვე 2:0 ისტრი
კაენი 1:1 კლერმონი
შატორუ 2:1 გენიონი
კრეტეი 1:1 ამიენი
ნანსი 2:1 ლავალი
ნიორი 2:0 ტულუზი
სენტ ეტიენი 1:1 ლორიანი
ვალანსი 1:0 გრენობლი
ვასკალი 1:1 რეიმსი

## კალათბურთი

მსოფლიოს ჩემპიონატი

E ჯგუფი

იუგოსლავია 110:78 თურქეთი
ესპანეთი 84:67 ბრაზილია



*ასეთი სუსტი „ბათუმი" არ გვინახავს — ხშირად გაიგონებთ ფეხბურთში მოტრიალე ხალხისგან. მეთოთხმეტე ეროვნული ჩემპიონატი „ბათუმმა" მართლაც უსუსურად დაიწყო და საწყისი ოთხი ტურის მერე ორი ქულის ამარაა. მუდამ ამბიციური ზღვისპირელები წლეულს უჯიგროდ თამაშობენ და ბევრმა მათ უმაღლესი ლიგიდან გავარდნაც უწინასწარმეტყველა. თუმცა „ბათუმის" თავკაცი ასლან ბალაძე სხვაგვარად ფიქრობს. მისი თქმით, გუნდი მალე დადგება ფეხზე და ჩემპიონატში ჩვეულ ადგილსაც დაიბრუნებს*

# როგორ გეკადრებათ?!

## ასლან ბალაძე: ბათუმს სამთავრობო დონეზე მიხედეს, მალე თვალებში და ქულებში გამოვიხედავთ

— სეზონი ძალიან სუსტად დაიწყეთ...

— მართალია, უსუსურად გამოვიყურებით, მაგრამ ამას თავისი მიზეზებიც აქვს. მოსამზადებელი ეტაპი მიზეზთა გამო გვიან დავიწყეთ. ბიჭები მოუმზადებლები არიან. სტარტი ასეთი უსახური ამიტომაც გამოგვივიდა.

— ამბობენ, „ბათუმი" ფინანსურადაც ვერ არის დალხენილიო...

— ეს საქმე უკვე მოგვარდა — გუნდს ახალი სპონსორები გამოუჩნდნენ. ამ მხრივ ახლა მართლა არ გვიჭირს.

— ვერ გვეტყვით ვინ არიან სპონსორები?

— ჯობს, არ ვთქვა, საკმაოდ სერიოზული ხალხია. ეს საკითხი სამთავრობო დონეზე გადაწყდა.

**— როგორ ფიქრობთ, ახლანდელი შემადგენლობით უკეთესი შედეგის მიღწევას შეძლებთ?**

— ამასაც მალე ეშველება. ცოტა დაგვიანდა ბულგარეთიდან ავთანდილ ღლონტისა და გოჩა ყულეჯიშვილის სატრანსფერო ფურცლების მიღება, თუმცა ბულგარელებს უკვე ველაპარაკეთ და მალე ამ ფეხბურთელებით გავძლიერდებით. რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშის დამატებასაც ვაპირებთ. მოდებაძე და სეფერთელაძე უკვე „ბათუმში" ვარჯიშობენ. დიდი შანსია, ზურაბ არჩვაძეც შეგვემატოს, რაც დაცვის ხაზში პრობლემებს მოგვიხსნის.

— ბევრის აზრით, ბათუმს ასეთი სუსტი გუნდი არ ჰყოლია...

— ამ აზრს ვერ გავიზიარებ. „ბათუმი" სუსტი არაა, უბრალოდ, გუნდი მოუმზადებელია. ბიჭები ფიზიკურადაც ვერ უძლებენ. თუმცა ამაზე უკვე ვმუშაობთ და იმედი მაქვს, მალე ჩვეულად ავთამაშდებით.

**— მთავარი მიზანი, ალბათ, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება...**

— არა, რატომ? „ბათუმი" ის გუნდი არაა, უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლოს. მართალია, ბევრი ქულა გავანიავეთ, მაგრამ მთავარი ბრძოლები წინაა.

**კახა შალამბერიძე**

# თურქული თხილი VS ფოთური კბილი

## ფილიამ ახვლედიანს დისკუსია არ აკადრა

**ამას წინათ** ფეხბურთის ფედერაციაში თურქეთის ქალაქ სამსუნიდან ფაქსი მოვიდა. იქაური „სამსუნსფორის" ხელმძღვანელობა რომელიმე ქართულ კლუბთან ამხანაგურ შეხვედრას ითხოვდა. მგზავრობის ხარჯები, კვება და სასტუმრო ჩვენი, თანხმობა და თამაში თქვენიო. ფედერაციამაც თურქებს არ აწყენინა და მოსურნე კლუბიც გამონახა — ფოთის „კოლხეთი".

ფოთელები დღეს მიემგზავრებიან სამსუნს, დილაადრიან შეუდგებიან გზას თხილის ქალაქისკენ — სამსუნი და მისი შემოგარენი ხომ თხილის პლანტაციებით არის გადაჭედილი და ცნობილი.

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შემოგვთავაზა „სამსუნსფორის" ვარიანტი და უყოყმანოდ დავთანხმდი. ჩემს გუნდს სათამაშო პრაქტიკა აკლია, ჯერ ეროვნული ჩემპიონატის ორი საშინაო შეხვედრა გადაგვედო, ახლა კი ეროვნულმა გუნდმა „გამოალო ფანჯარა". სწორედ ამან გადაგვაწყვეტინა თურქეთში წასვლა — გვითხრა კოლხთა მწვრთნელმა სოსო ფილიამ.

„სამსუნსფორი" თურქეთის ჩემპიონატში მეშვიდე ადგილზეა 6 ქულით. ფილიას სულ 17 ფეხბურთელი მიჰყავს, სამი კი იძულებით მოისაკლისა. მცველ კახა გოროზიას და მეკარე სოსო გრიშიკაშვილს ტრავმები აწუხებთ, მარჯვენა მცველი რამაზ სვანაძე კი ახალგაზრდულ ნაკრებშია გამოძახებული.

„სამსუნსფორი" — „კოლხეთი" 7 სექტემბერსაა დანიშნული, კოლხთა 30-კაციანი დელეგაცია უკან თამაშის დამთავრებისთანავე გამობრუნდება.

„კოლხეთის" სათურქეთო შემადგენლობას თუ გადაიკითხავთ, იქ განაპირა ნახევარმცველ ბადრი ახვლედიანს ვერ აღმოაჩენთ, ფილიამ ფეხბურთელი გუნდიდან გაუშვა.

— ახვლედიანი ტრანსფერზეა დაყენებული, რომც მთხოვოს დაბრუნება, უარს ვეტყვი. მას ერთ-ერთი ამხანაგური მატჩის მერე შენიშვნა მივეცი, რაც იუკადრისა. არაპროფესიონალები გუნდში არ მჭირდება — დასძინა ფილიამ.

მწვრთნელი „სამსუნსფორთან" თერთმეტეულს ამ 17 ფეხბურთელიდან შეარჩევს:



სოსო ფილია

*მეკარეები:* მამუკა გვასალია, ბიძინა ჩემია;
*მცველები:* დავით ნარსია, ილო ქუტიძე, გელა ფანჩულიძე, მიხეილ ქობულაძე, პაატა ბაჩილავა;
*ნახევარმცველები:* შალვა ლონდაძე, გიორგი გაბიდაური, რევაზ კვერნაძე, გიორგი კრასოვსკი, მიხეილ გურგენაძე, მიხეილ ფილია;
*თავდამსხმელები:* ელდარ გვასალია, ვალერი გაგუა, ბორის გოწირიძე, ტარიელ ყურაშვილი

**გიორგი გუგაძიძე**

1 ტური

საქართველოს 14 ჩემპიონატი — პირველი ლიგა — ამერველი წრე

# მცხეთაში უპოვარი დამნაშავობდა

| |
|---|
| მცხეთა |
| 4 სექტემბერი |
| 17 საათი |
| არმაზი |
| 500 (ტევადობა 3 000) |

**თსუ 0:1 ლაზიკა**

0:1 ბაკარანძე (80)

**თსუ:** ძამუნაშვილი, ჯობავა, იაკობიძე, ბერიანიძე, დათუნაიშვილი, ბუჯიაშვილი (ჯოჯუა 71), ბარბაქაძე (ბესტაევი 62), გ. ა. მიქაძე, სახოკია (ჭრიკიშვილი 79), ქუხილავა, ლ. კვარაცხელია

**სათადარიგონი:** კუპრეიშვილი, ა. კოჭლაშვილი

**მწვრთნელი:** მურაბ კოჭლაშვილი

**ლაზიკა:** მ. ნაყოფია, ფიფია, ჯაბუა, იოსავა, ა. ნაყოფია, მებონია, გ. ქირია, ბაკარანძე, დ. ქირია გვიჩია, პერტაია (გოგია 90)

**სათადარიგო:** ლ. ხარებავა

**მწვრთნელი:** ბესიკ შეროზია

**გაფრთხილება:** დ. ქირია (49), ა. ნაყოფია (67), ბესტაევი (70), პერტაია (86)

**გაძევება:** ძამუნაშვილი (78)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ი. ახვლედიანი (დუშეთი), ო. ხეცაძე, მ. მალალურაძე (ორივე თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. სიჭინავა

**მამუკა კვანტალიანი მცხეთიდან**

**ეროვნული ჩემპიონატის** უმაღლესი ლიგა სანაკრებო თამაშებმა შეასვენა, თუმცა საქართველო მთლად უფეხბურთოდ არ დარჩენილა. გუშინ პირველი ლიგის ახალფორმატიანი გათამაშება დაიწყო.

16 გუნდი ჩემპიონატში ორ წრედ ითამაშებს, აღარ იქნება ექვსეულები და ქულების განახევრება. ორი საუკეთესო პირდაპირ უმაღლესში ჩაირიცხება, ხოლო მესამეადგილოსანი გადათამაშებაში დაუპირისპირდება უმაღლესის მეთოთხმეტე საფეხურზე დარჩენილს.

...მცხეთაში გახსნის საზეიმო ცერემონიალი რამდენიმე წუთში დასრულდა. აჟღერდა ეროვნული ჰიმნი, გუნდების კაპიტნებმა დროშა აღმართეს და ფანიაშვილმაც დაწყებისა ჩასტვინა.

უმაღლესში აღზევების მოსურნე თბილისური თსუ მთელი ორი ტაიმის მანძილზე ამაოდ ეცადა სტუმრის დაჩაგვრას. არაფერი გამოვიდა ამ საქმიდან და საფინალო სასტვენის შემდეგ „არმაზზე" გათამაშების პირველი სენსაციაც გამოცხვა. ზუგდიდურმა „ლაზიკამ" სტუმრად პირველი გამარჯვება იზეიმა.

არადა, თამაშამდე ყველა სტუდენტთა იოლ გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა. ვარაუდები მაშინ უფრო გამყარდა, როცა ზუგდიდელები მწვრთნელებისა და მხოლოდ 13 ფეხბურთელის ამარა მიადგნენ „არმაზს".

ფაქტობრივად, უვარჯიშებელი გუნდია, ძირითადის ექვსი ფეხბურთელი სათამაშოდ არ წამოვიდა. მიზეზი კი უსახსრობა გახლავთო, ჩიოდნენ სტუმრები.

საახალსეზონოდ კიდევ უფრო გაახალგაზრდავებულა თსუ, არც „ლაზიკა" იყო მაინცდამაინც მთლად ვეტერანებით დაკომპლექტებული, მაგრამ ზუგდიდელებს რამდენიმე გამოცდილი მოთამაშე ჰყავთ და სტუმართა გამარჯვებაში მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს.

მატჩი მასპინძელთა შეტევებით დაიწყო. საგოლე მომენტიც მალევე შექმნეს სტუდენტებმა, მაგრამ ნაყოფიასთან პირისპირ დარჩენილმა ბარბაქაძემ მეკარეს ვერ აჯობა. ცოტა ხანში კვარაცხელიას შეეძლო გატანა, თუმცა ხელსაყრელი მდგომარეობიდან ააცილა.

მერე და მერე „ლაზიკაც" გაუშინაურდა „არმაზს". სტუმრებმა მეტოქის საჯარიმოსკენაც გაიხედეს. მართალია, ძამუნაშვილს პირველ ტაიმში პრობლემები ვერ შეუქმნეს, მაგრამ თსუ-ს უკვე ალარაფერს უთმობდნენ.

მეორე ტაიმიც სტუდენტთა შეტევებით დაიწყო, მაგრამ მათი წინსვლა რაღაც გაუბედავი იყო. სტუმრებმა კი მალევე მოსინჯეს ძამუნაშვილის მზადყოფნა. თსუ-ს მეკარემ მებონიას შორეულ დარტყმაზე შესაშური რეაქცია გამოავლინა. წინ გამოსულმა უკანდახევა და კარში ჩასაშვებად გამზადებული ბურთის კუთხურზე გადაგდება მოახერხა.

...თითქოს თსუ გადამწყვეტი შეტევისთვის გაემზადა. საგოლე მომენტიც შექმნეს მასპინძლებმა, მაგრამ ზუგდიდელმა მცველებმა ცარიელი კარიდან გამოიტანეს ბურთი. ხელახორაც შეიქმნა ნაყოფიას კართან, თუმცა სტუდენტებმა ვერ ივარგეს.

იმ მომენტიდან ორ წუთში „ლაზიკა" გატანილ გოლს ზეიმობდა. სტუმრებმა მოედნის სიღრმიდან ბაკარანძე გაიყვანეს გარღვევაზე. ზუგდიდელმა მცველებს კი დაასწრო, მაგრამ ძამუნაშვილი საჯარიმოს გამოსცდა და დასწრებაზე თავით თამაში სცადა. მასპინძელთა მეკარემ მანძილი ვერ მოზომა, ბურთი თავზე გადაევლო და ხიფათი რომ იგრძნო, საჯარიმოს გარეთ ხელით ითამაშა. ფანიაშვილმა თამაში გააჩერა, ხელი ჯიბეზე გაიკრა და წითელი ბარათი ააფრიალა.

კოჭლაშვილს სხვა შანსი აღარ დარჩენოდა, სათადარიგო მეკარე ჭრიკიშვილს ბუჯიაშვილი ანაცვალა. ჯარიმიდან დავით ქირიამ არცთუ ძლიერად დაარტყა, ბურთი მეკარის წინ დაეცა და პირდაპირ სათადარიგოთა სკამიდან კარში ჩამდგარი ჭრიკიშვილი შეცდა. მეკარის მიერ ვერდამორჩილებულ ბურთს ბაკარანძემ დაამატა და „ლაზიკა" დაწინაურდა.

დარჩენილ დროში თსუ-ს ყველა მონდომება სტუმართა თავგანწირვას შეემსხვრა. თამაშის შემდეგ გახარებული ზუგდიდელები იმედიანად ტოვებდნენ „არმაზს". იქნებ ეს გამარჯვება კლუბის თავკაცებს გულს მოეფონოთ და ყოფა გაგვიუმჯობესონო.

**ლოკო 0:1 გურია**

**ჭაბუკთა ნაკრები 3:0 ალაზანი**

**ცხინვალი 2:0 ქობულეთი**

**სამტრედია 1:3 მერცხალი**

**სამგურალი 1:1 დინამო 2**

**იბერია 1:0 მცხეთა**

**ხობი 0:0 ლოკომოტივი 2**

# რეფორმა კახურ მილანში

## ბარამიძეს ერთი თანამდებობა დაუტოვეს

**უმაღლესლიგელთა** მეხუთე ტურში წნორის „მილანმა" საშინაო თამაში წააგო ბოლნისის „სიონთან". ეს დამარცხება საბედისწერო გამოდგა გუნდის მოთამაშე-მწვრთნელისთვის. სოსო ბარამიძე გუშინ თანამდებობიდან დაითხოვეს.

„ჩვენი სურვილია, ბარამიძე „მილანში" ფეხბურთელად დარჩეს, მაგრამ მას გუნდიდან წასვლა გადაუწყვეტია. ვეცდებით, დავითანხმოთ. მან „მილანისთვის" ბევრი სასიკეთო გააკეთა" — გვითხრა გუშინ სატელეფონო საუბარში კახური კლუბის პრეზიდენტმა მარიამ ფირცხალაიშვილმა.

ბარამიძის ადგილს დროებით ბერდია გვენცაძე დაიკავებს. ფეხბურთის ქომაგებს ეს გვარსახელი ბევრს იქნებ არაფერს ეუბნება. გვენცაძეს ადრე რუსთავის გუნდში უმუშავია მწვრთნელად.

„სიონთან" მარცხის შემდეგ „მილანიდან" ორი ფეხბურთელიც გაუშვესო, ხმა დაირხა საფეხბურთო წრეებში, მაგრამ ნათქვამი ჭორი გამოდგა. მარიამ ფირცხალაიშვილის განცხადებით, ყველა ფეხბურთელი ადგილზეა და მომავალი ტურისთვის ემზადება.

„მილანში" კიდევ ერთი სიახლეა. „ტორპედოს", „სამგურალის", „დინამო 2"-ის და „ლოკომოტივის" ყოფილი მეკარე დავით ასლანაძე, რომელიც ახლა თავისუფალი აგენტია, წნორელებთან ერთად ვარჯიშობს.

დათოს წელიწადზე მეტია, არ უთამაშია. მხრის ქრონიკული ტრავმა ახლაღა მოირჩინა და დაკარგულის ანაზღაურებასაც ეცდება.

ასლანაძე თავის დროზე ნიჭიერ მეკარედ მიიჩნეოდა და ძალები გუცაევის ახალგაზრდულ ნაკრებშიც მოუსინჯავს.

**მამუკა კვანტალიანი**




სოსო ბარამიძე ტაქტიკური ტვირთისგან გათავისუფლდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მანჩესტერ იუნაიტედს ინსტინქტი მოუკვდა

## რომ არა ქორისებრ მხედველობა



რაიან გიგზმა ჯორჯ ბოატენგს საგოლედ დარტყმა არ დაანება



პატრიკ ვიეირამ გაძევება იუკადრისა

### ინგლისი

**პრემიერლიგა**

**მანჩესტერ იუნ. 1:0 მიდლსბრო**

1:0 ვან ნისტელროი (28)

მანჩესტერ იუნ: ბარტეზი, ფ. ნევილი, სილვესტრი, ბლანი, რ. ფერდინანდი, ბექემი (ოშე 90), ვერონი, ბატი, გიგზი, სქოულზი (ფორლანი 79), ვან ნისტელროი (სოლსკიაერი 71)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

მიდლსბრო: შვარცერი, სტოკდეილი, ეჰიოგუ, საუთგეიტი, კუპერი, კედრუ (მარინელი 72), ბოატენგი, ჯურემი, გრინინგი, ჟობი, მაკარონე (ვილანი 73)

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

გაფრთხილება: ვერონი, საუთგეიტი, ეჰიოგუ

მსაჯი: რილი

67 464 მაყურებელი

**შარშან**, „მიდლსბრომ" „მანჩესტერ იუნაიტედი" დაასამარა, ორივე თამაშო მოუგო. შარშანაც და წელსაც „ბოროს" სტივ მაკლარენი წვრთნიდა და წვრთნის, ალექს ფერგიუსონის ყოფილი მარჯვენა ხელი. მაგრამ წლეულს, ანუ სამშაბათ საღამოს ბოროელ სტუმრებს ძველი განწყობა აღარ ჰქონდათ, „მანჩესტერმა" ერთი კინკილა გოლით, მაგრამ მაინც მოიგო.

გოლი პენალტით რუუდ ვან ნისტელროიმ გაიტანა.

მასპინძლებს ბურთი ჩვეულებისამებრ ეჭირათ, მაგრამ აქედან ბევრი ვერაფერი გამოადნეს. პენალტიც მსაჯის ქორისებრ მხედველობას უნდა მივაწეროთ, რომელმაც როგორღაც შენიშნა, რომ უგო ეჰიოგუ ოდნავ შეეხო ვან ნისტელროის. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რაიან გიგზმა ნახევარი მოედანი გაღინაღირა და გოლიც უნდა გაეტანა, თუმცა, ეს იყო და ეს.

„სიმწვავე გვაკლია. კარის წინ მკვლელის ინსტინქტი უნდა ცოცხლობდეს" — თქვა ფერგიუსონმა.

ამასობაში ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდა მეკარე ფაბიან ბარტეზი, დევიდ ბექემს კი ნატკენი თეძო გაუმიზეზდა და სანაკრებო ამხანაგურს ვეღარ ითამაშებს პორტუგალიელთა წინააღმდეგ.

„მანჩესტერი" რვა ქულით და უარესი ბურთებით უკან მისდევს მეორე-მესამე ადგილებზე გამაგრებულ „არსენალსა" და „ლივერპულს", ლიდერი კი „ტოტენჰემია".

**ირაკლი ბამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტოტენჰემი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:3 | 10 |
| არსენალი | 4 | 2 | 2 | 0 | 10:5 | 8 |
| ლივერპული | 4 | 2 | 2 | 0 | 8:4 | 8 |
| მანჩესტერი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| ლიდსი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:4 | 6 |
| ჩელსი | 4 | 1 | 3 | 0 | 7:6 | 6 |
| ჩარლტონი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| სიტი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| მიდლსბრო | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| ბლექბერნი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| სანდერლენდი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| ევერტონი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:6 | 5 |
| ნიუკასლი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:3 | 4 |
| ფულემი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| ბირმინგემი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ასტონ ვილა | 4 | 1 | 0 | 3 | 1:3 | 3 |
| ბოლტონი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ვესტ ბრომვიჩი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:9 | 3 |
| საუთჰემპტონი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | 2 |
| ვესტ ჰემი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:8 | 1 |

# E2 გვეუბნება, რომ...

## ვიეირამ ცუდი სიტყვა იხმარა

**ლონდონის** „არსენალის" ნახევარმცველ პატრიკ ვიეირას ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია ელის, თუ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტი მის აპელაციას არ დააკმაყოფილებს და სამაგალითოდ დასჯის ფრანგ ფეხბურთელს.

ვიეირას სადისციპლინო წესდების E2 პუნქტის დარღვევა ბრალდება, რაც მატჩის დროს ოფიციალური პირის გალანძღვას გულისხმობს. „არსენალისა" და „ჩელსის" შეხვედრაში ფრანგმა ფეხბურთელმა ჯერ ჯანფრანკო ძოლას, ხოლო შემდეგ იესპენ გრონკიაერის წინააღმდეგ ორთაბრძოლაში თითო-თითო ყვითელი ბარათი დაიმსახურა, რის გამოც მსაჯმა ენდი დურსომ ის მოედნიდან მიაბრძანა, თუმც მანამდე ფრანგი არბიტრს მიეჭრა და უსამართლობისთვის გალანძღა. შე ნახმარო იდიოტო, ადამიანური გრძნობა არ გაგაჩნიაო — ყვირილი დაუწყია აღშფოთებულ ვიეირას. დურსომ კი ეს ყველაფერი სიტყვა-სიტყვით ჩაწერა მატჩის პატაკში.

„არსენალმა" გამოაცხადა, რომ ორი კვირის ვადა აქვს, რათა კომიტეტში დისკვალიფიკაციის ვადის შემცირებაზე შეიტანოს აპელაცია და ასეც მოიქცევა. თუმც იმას ალარაფერი ეშველება, რომ ვიეირას 21 სექტემბერს „ბოლტონთან" მატჩის გამოტოვება მოუწევს.

„მიზნად არ მქონია, ვინმესთვის შეურაცხყოფა მიმეყენებინა. უბრალოდ, ძალიან გავბრაზდი, მსაჯმა რომ გამაძევა" — თქვა ვიეირამ, რომელიც მას შემდეგ, რაც „არსენალში" თამაშობს, უკვე მერვედ გააძევეს მოედნიდან. და ამ ხნის მანძილზე უკვე 75 ათას გირვანქამდე ჯარიმა აქვს გადახდილი.

**ირაკლი მეძუა**

# დროულად აქტივებული ფეხის ამბავი




როი კინმა ბოღმა წიგნშიც გადმოანთხია




„მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი, ალექს ფერგიუსონი ტყუილად არაფერს ამბობს, ამიტომაც, მისი განცხადება, რომ კაპიტანი, როი კინი, ოპერაციის შემდეგ ექვს კვირაში მოედანს დაუბრუნდება (ადრე, სანამ ოპერაციას გადაწყვეტდნენ, სამ თვეზე ლაპარაკობდნენ) ყურადსაღებია.

თუმცა, კინი ამა თუ იმ მიზეზით, დროებით მაინც უნდა ჩამოშორებოდა უშუალო საქმიანობას. კერძოდ, წინა შაბათს, მოედნიდან გაძევებისთვის (ეს გახლდათ ირლანდიელის მეათე გაძევება კარიერაში) სამი თამაში ხომ ისედაც უნდა გამოეტოვებინა და გარდა ამისა, გახმაურებული ავტობიოგრაფიული წიგნის გამო, შესაძლოა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას დაესაჯა. შესაძლოა კი არა, ამ სასჯელის ამბავი წესით მალე უნდა გაირკვეს.

სიტყვა სასჯელის ხსენებაზე, ეჭვი არ არის, უმეტესობას უპირველესად ჯარიმა გაგვახსენდა, თუმცა დახეთ რაშია საქმე: როდესაც გსურს დასაჯო კაცი, რომელიც კვირაში 109 100 დოლარს იღებს, წესით რაღაც სხვა უნდა მოიფიქრო, თორემ საჯარიმო თანხას ღილინ-ღილინით გადაიხდის და თავს დასჯილად ვერ იგრძნობს.

და, ახლა, როდესაც, დისკვალიფიკაციასაც დაეკარგა აზრი — ისედაც დაშავებულია და თამაშს მომავალში ხომ ვერ აუკრძალავენ — ფეხბურთის ასოციაცია საგონებელშია ჩავარდნილი.

ხოლო შეკითხვაზე, რატომ აპირებს ასოციაცია ფეხბურთელის დასჯას, პასუხი მისი წიგნის იმ თავში წერია, სადაც „მანჩესტერ სიტის" ნორვეგიელ ფეხბურთელ ალფე ჰაალანდზეა საუბარი — კინი გვამცნობს, რომ ჰაალანდს სიამოვნებით მიაყენა ტრავმა, რადგან ეს კაცი დიდი ხანია თვალში არ მოუდის. ხსენებული სიამოვნება დიდ კაპიტანს 2001 წლის აპრილში მიუღია.

და, გასულ შაბათს რა შარბათისთვის გააძევეს მანჩესტერელი? „სანდერლენდთან" შეხვედრაში, თამაშის დამთავრებამდე წუთებილა რჩებოდა, ყოველგვარი საჭიროების გარეშე თანამემამულე ჯეისონ მაკატირს (ირლანდიის ნაკრებში მრავალჯერ უთამაშიათ მხარდამხარ) კეფაში იდაყვი რომ ჩასცხო.

**ბაჩუნა ძიძია**

## კინმა თქვა

### სკანდალი ჯეკი ჩარლტონთან

როი კინმა ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობაში განაცხადა, რომ ავტორიტეტებს არ ცნობს. 1991 წელს ბოსტონში აშშ-ის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის შემდეგ ფეხბურთელებს ნება დართეს, ღამის კლუბებში მოელხინათ. მეორე დილით სასტუმროში ყველაზე გვიან კინი დაბრუნდა და ირლანდიელთა მაშინდელმა მწვრთნელმა ჯეკი ჩარტონმა აღელვებულმა ჰკითხა: „შენ საერთოდ ხვდები თუ არა, რამდენ ხანს გელოდეთ?" კინმა კი აუღელვებლად უპასუხა: „მე თქვენთვის დალოდება არ მითხოვია."

### ფეხბურთის რა გაეგებათ

კინს არაერთხელ გაუკრიტიკებია „მანჩესტერ იუნაიტედის" ქომაგობა. ერთხელ, როდესაც „მანჩესტერი" ჩემპიონთა ლიგის მატჩში კიევის „დინამოს" მასპინძლობდა, შეხვედრის დასრულების მერე მან განაცხადა: „ხანდახან ვფიქრობ, საერთოდ რამე თუ გაეგება ამ ხალხს ფეხბურთის? როცა სტუმრად ვთამაშობთ, ქომაგობა ჯიგრიანია, აი, „ოლდ ტრეფორდზე" კი ლუდის წრუპვის და ბუტერბროდების ჭამის მეტს არაფერს აკეთებენ."

### ეს ის ფეხბურთელები არ არიან

2001 წლის აპრილში, როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედი" ჩემპიონთა ლიგიდან გავარდა, კინი ცოფებს ყრიდა: „ფეხბურთელებმა თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინეს, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. ჩემი აზრით, ამ გუნდის დასასრული დადგა, ფეხბურთელები უნდა გავყაროთ."

### ხორცის და ფეხბურთელის გაყიდვა ერთი და იგივეა

იაპ სტამის სკანდალურად გაყიდვის შემდეგ კინი აღშფოთებას ვერ მალავდა: „ამ ტრანსფერმა დაგვანახა, თუ რა უუფლებოები არიან ფეხბურთელები. კონტრაქტებს ფასი ეკარგება, მოთამაშეები ძვირადღირებულ ხორცის ნაჭრებს ემსგავსებიან."

### წითელი ნისლი

2001 წლის სექტემბერში როი კინი კარიერის მანძილზე მეცხრედ გააძევეს და მან აღიარა, რომ მოედანზე ხანდახან ემოციებს ვერ თოკავს: „ვცდილობ, თავი ხელში ავიყვანო, მაგრამ დროდადრო წითელ ნისლში ვეხვევი და ჩემი გამჩერებელი ვერც მწვრთნელია, ვერც მოთამაშეები და ვერც ტრიბუნებზე მყოფი ხალხი."

### კინი ნაკრებიდან მოკვეთეს

როგორც გახსოვთ, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ირლანდიის ნაკრების დამრიგებელმა მიკ მაკარტიმ როი კინი თავნებობისთვის ნაკრებიდან გააბუნძულა. კინმა ჩხუბის მიზეზად არაკომფორტული პირობები დაასახელა: „რომ გენახათ, რა მინდორზე გვიხდებოდა ვარჯიში, აუცილებლად გამიგებდით. ცალკე ქალაქიდან ქალაქში მომქანცველი ხეტიალი. მე ვარსკვლავური დაავადება არ მჭირს სხვებისგან განსხვავებით და არც გმირს ვხატავ ჩემგან."

### განდიდების მანიით შეპყრობილნი

მუნდიალის დასრულების შემდეგ კინმა კვლავ გააკრიტიკა ნაკრების წევრები, ზოგიერთი ფეხბურთელი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ ახალი მანქანები, ახალი სახლები და ძვირფასი საათები იყიდონ. სჯობს, მათ ფეხბურთზე იფიქრონო.

## ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. 7-8 სექტემბერი

# სანტინის ლაზარეთი

**საფრანგეთის** ნაკრების ახალმა მწვრთნელმა, ჟაკ სანტინიმ განაცხადა, ლურჯთა ცნობილი ფორვარდი, არსენალელი ტიერი ანრი ტრავმის გამო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ მატჩში, კვიპროსის წინააღმდეგ, ვერ ითამაშებსო. ანრის აღრე ნატკენი კოჭი გამიზეზებია, რის გამოც სანტინის მისი სხვა ფეხბურთელით, კერძოდ კი, ლივერპულელი ბრუნო შეირუთი შეცვლა მოუწევს. ამგვარად, ბრუნო შეირუ ეროვნული გუნდის მაისურას მეორედ მოირგებს — პირველად, აგვისტოში, ტუნისის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაში ეცვა.

აღსანიშნავია, რომ ფრანგთა თავკაცს ოფიციალური სადებიუტო შეხვედრის წინ ბედი არ სწყალობს. ანრიმდე ტრავმამ მას „რომას" მცველი, ვენსან კანდელა გამოაკლო, რომლის შეცვლაც 21-წლამდელთა ნაკრების წევრით, ნანტელი სილვენ არმანით გადაწყვიტა.

„ხშირად, ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებას გარემოება გაიძულებს. ბრუნოს ტიერი ანრის პოზიციაზე თამაში არ ეხერხება, მაგრამ ნაკრებში ტყუილად არ გამოვიძახია. რაც შეეხება სილვენს, მისი გაყვანა კანდელას ნაცვლად კი არა, ბიქსენტ ლიზარაზუს ნაცვლად მინდოდა, რადგან ლიზარაზუ მკურნალობის შემდეგ ბოლომდე არ არის გამოჯანმრთელებული" — დაიჩივლა სანტინიმ, რომელსაც ავადმყოფთა სიაში „ჩელსის" ნახევარმცველი, ემანუელ პეტიც ეწერა, თუმცა იმედოვნებს, რომ მსოფლიოს და ევროპის კიკინიანი ჩემპიონი ნიქოზიაში დანიშნულ შეხვედრას ტკივილის გარეშე შეხვდება.

„მანიუ თავს უკეთ გრძნობს. ექიმიც იმედოვნებს, რომ შაბათს პრობლემა არ ექნება" — დასძინა მწვრთნელმა, რომელთან ერთად, პარიზის ახლოს მდებარე საწვრთნელ ცენტრში, არ არიან „მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე ფაბიენ ბარტეზი და „იუვენტუსის" თავდამსხმელი დავიდ ტრეზეგე — მათ ტრავმებს სანტინი კარგა ხანია შეგუებულია. აღვნიშნოთ, რომ ბარტეზი ფორმაში შედის, რაკი გუშინწინ პრემიერლიგის გადადებულ მატჩში, „მიდლსბროს" წინააღმდეგ, სრულად ითამაშა.

ახლა კი კვიპროსელთა მოკრძალებულ ბანაკში შევიხედოთ. შაბათის მატჩის მასპინძელთა მწვრთნელს, მოკა ვუკოტიჩს ყველაზე მეტად „პანათინაიკოსის" თავდამსხმელის, მიხალის კონსტანტინუს ბედი აღელვებს. კონსტანტინუს ორთავა კუნთი გაუჭიმია და, ექიმების პროგნოზით, ფრანგების წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

„თუ ფრანგებთან შეხვედრაში დაცვით ტაქტიკას ავირჩევთ, აუცილებლად დავმარცხდებით — განმარტავს ვუკოტიჩი და ნათელი ხდება, რატომ განიცდის ყველაზე მეტად თავდამსხმელის ტრავმას — ამიტომ ჩვენ იმავე გზას დავადგებით, რა გზასაც ჩრდილოირლანდიელთა წინააღმდეგ ჩატარებულ ორ ამხანაგურ შეხვედრაში ვადექით."

ვუკოტიჩი, რომელიც კვიპროსელების თავკაცად ამ წლის დასაწყისში დანიშნეს, დარწმუნებული გახლავთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ხელის მოცარვამ ფრანგები კიდევ უფრო საშიში გახადა, ვიდრე აქამდე იყვნენ.

„ახლა ისინი ყველა ღონეს იხმარენ, რათა ევრო 2004-ის კამპანია მხნედ დაიწყონ. ამასთან, ფრანგებს ახალი მწვრთნელი ჰყავთ, ხოლო მწვრთნელის გამოცვლა ფეხბურთელებზე ყოველთვის დადებითად მოქმედებს."

**ბაჩუნა ძიძია**



დევიდ ბექჰემმა სამშობლო უკაპიტნოდ დატოვა





ჟაკ სანტინის ბრუნო შეირუ შერჩა

# მერიკსონს სამკლავური შერჩა

**ინგლისის** ნაკრების კაპიტანი დევიდ ბექჰემი მომავალ შაბათს პორტუგალიელებთან დაგეგმილ ამხანაგურ მატჩს გამოტოვებს. „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველმა „მიდლსბროს" წინააღმდეგ შეხვედრის ბოლო წუთებზე კოჭის ტრავმა მიიღო.

შაბათს „ვილა პარკზე" ინგლისი პორტუგალიას მასპინძლობს. „იუნაიტედის" თავკაცმა სერ ალექს ფერგიუსონმა დაადასტურა, რომ ბექჰემი ნაკრებს დააკლდება, მაგრამ ყველაფერს იღონებენ იმისთვის, რომ მან მომავალ ოთხშაბათს უკვე პრემიერლიგის მატჩში, „ბოლტონთან", მოედანზე გასვლა შეძლოს.

„მანჩესტერისა" და „მიდლსბროს" მატჩს ინგლისის ნაკრების თავკაცი სვენ გორან ერიკსონიც დაესწრო, რომელსაც ყველა სხვა საინტერესო საკითხთან ერთად ის უნდა გაერკვია, ღირს თუ არა, შაბათის თამაშისთვის პოლ სქოულზის გამოძახება, რადგან, მოგეხსენებათ, „იუნაიტედის" ფეხბურთელს ბოლო ხანს ტრავმა აწვალებდა. სქოულზმა „მიდლსბროსთან" 79 წუთი დაჰყო მოედანზე და ერიკსონიც, ალბათ, საჭირო დასკვნას გამოიტანდა.

ინგლისის ნაკრებს ტრავმის გამო დააკლდება კირონ დაიერიც, რომლის შემცვლელი ერიკსონმა „ბლექბერნში" გამონახა — გუნდში დევიდ დანი გამოიძახა. ამის თაობაზე გუშინ გაუწყეთ. სხვათა შორის, ეს ნახევარმცველი თითქმის ყოველთვის გამოირჩეოდა ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებში.

„ბლექბერნის" თავკაცმა გრემ სუნესმა 22 წლის დანს დიდი სანაკრებო მომავალი უწინასწარმეტყველა. რაც შეეხება კირონ დაიერს, ის „ნიუკასლ იუნაიტედის" და „ლივერპულის" ორშაბათის მატჩში დაშავდა, არადა, მისი ნაკრებში აყვანა ერიკსონს კარგა ხნით ადრე ჰქონდა გადაწყვეტილი.

**ნიკა შუბლაძე**

# თუ აიგნერი თან გახლავს, ღარიბად არ იხსენები

## ეგრე არ არის, ძმაო

**ევროპის** ჩემპიონატის დაწყებამდე ორ წელზე ნაკლები დარჩა. მომავალ უქმეებზე შესარჩევი ეტაპის პირველი ტური ჩატარდება. მანამდე კი უეფას აღმასრულებელმა მდივანმა გერჰად აიგნერმა ევრო 2004-ის მასპინძელი პორტუგალია მოინახულა. რამდენიმე დღით პორტუს ეწვია და ქვეყანაში მიმდინარე მზადების პროცესს თვალი შეავლო.

პორტუგალია ევროკავშირში შემავალი 15 ქვეყნიდან ყველაზე ღარიბია, ამიტომ მას განსაკუთრებული ყურადღება და დახმარება ჭირდება, რათა ჩემპიონატის მასპინძელი ათივე სტადიონი მოაწესრიგოს.

გერჰარდ აიგნერმა პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ ნანახით კმაყოფილია და კრიზისული ვითარება სულაც არაა, როგორც მას უკითხებდნენ. მხოლოდ ერთი, „ანტას" სტადიონის რემონტი ჩამორჩება გეგმას და ყველაფერი კეთდება ამ ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად.

მთლიანად, ათივე სტადიონის სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე 550 მილიონი ევროა გამოყოფილი. აქედან მეოთხედს სახელმწიფო გაიღებს, მაგრამ პორტუგალიის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ამას წინათ განაცხადა, რომ ქვეყანას ფინანსურად უჭირს, რაზეც ევროკავშირი დაემუქრა, თუ ბიუჯეტის დეფიციტზე დაწესებულ ლიმიტს დაარღვევთ, სანქციები არ აგცდებათო. ამიტომ სახელმწიფო მოხელის თქმით, მთავრობა სტადიონების შემკეთებლებს ფულით ველარ დაეხმარება.

გარდა ამისა, ზემოხსენებულმა 550 მილიონმა დიდი განხეთქილება გამოიწვია ჩემპიონატის მასპინძელ ქალაქებს შორის, რადგან თანხას ყველა თავისკენ ექაჩება.

შარშანდელი სეზონის ბოლოს პორტუგალიის უმაღლესმა ლიგამ მთლიანობაში 91 მილიონი დოლარი იზარალა, ხოლო გრანდთა ტრიომ („პორტუ", „ბენფიკა", „სპორტინგი"), დაგეგმილი შემოსავლების მხოლოდ 60 პროცენტი მიიღო.

მავანი პოლიტიკური მიმომხილველი იმასაც კი ამტკიცებს, პორტუგალია ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის მზად არაა და სანამ დროა, მასპინძელი შეცვალეთო.

**გაგა ხუციშვილი**

## ლატვია — შვედეთი

**შვედეთი**

*მეკარეები:* მაგნუს ჰედმანი (სელტიკი, შოტლანდია), მათიას ასპერი (მალმიო);

*მცველები:* თომას ანტონელიუსი (კოპენჰაგენი, დანია), ანდრეას იაკობსონი (ჰანზა, გერმანია), ნილს-ერიკ იოჰანსონი (ბლექბერნი, ინგლისი), ტომი იონსონი (ჰალმსტადი), ტედი ლუჩიჩი (აიკ), ოლოფ მელბერგი (ასტონ ვილა, ინგლისი);

*ნახევარმცველები:* მიხაელ სვენსონი (საუთჰემპტონი, ინგლისი), ნიკლას ალექსანდერსონი (ევერტონი, ინგლისი), პონტუს ფარნერუდი (მონაკო, საფრანგეთი), მათიას იონსონი (ბრონდბიუ, დანია), კიმ კალსტრომი (იურგორდენი), ტობიას ლინდეროთი (ევერტონი, ინგლისი), ანდერს სვენსონი (საუთჰემპტონი, ინგლისი), მაგნუს სვენსონი (ჰალმსტადი);

*თავდამსხმელები:* მარკუს ოლბოკი (ასტონ ვილა, ინგლისი), ანდრეას ანდერსონი (აიკ), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (აიაქსი, ჰოლანდია), რადე პრიკა (ჰანზა, გერმანია)

## ჰოლანდია — ბელარუსი

**ბელარუსი**

*მეკარეები:* გენადი ტუმილოვიჩი (ანტვერპენი, ბელგია), ვასილი ხომუტოვსკი (მეტალისტი, უკრაინა), ვალერი შანტალოსოვი (ტორპედო მაზ);

*მცველები:* ანდრეი ოსტროვსკი (არსენალი, უკრაინა), სერგეი შტანიუკი (სტოკი, ინგლისი), ალექსანდრ ლუხვიჩი (ტორპედო, რუსეთი), სერგეი იასკოვიჩი (ალე, საფრანგეთი), სერგეი ომელიანჩუკი (ლეგია, პოლონეთი), ვლადიმირ შუნეიკო (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), ალექსანდრ ხრაპკოვსკი (სოკოლი, რუსეთი), არტიომ ჩელიადინსკი (სოკოლი, რუსეთი);

*ნახევარმცველები:* სერგეი გურენკო (პარმა, იტალია), ალექსანდრ გლები (შტუტგარტი, გერმანია), ალექსანდრ ხაცკევიჩი (დინამო, უკრაინა), მაქსიმ რომაშჩენკო (გაზიანთეფსპორი, თურქეთი), იგორ ტარლოვსკი (ალანია, რუსეთი), ალექსანდრ კულჩი (შინიკი, რუსეთი), დენის კოვბა (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), ვლადიმირ კორიტკო (სატურნი, რუსეთი), ვიტალი ვოლოდენკოვი (სოკოლი, რუსეთი);

*თავდამსხმელები:* ვიტალი კუტუზოვი (სპორტინგი, პორტუგალია), რომან ვასილიუკი (დინამო, მინსკი), პიოტრ კაჩურო (სოკოლი, რუსეთი), ნიკოლაი რინდიუკი (რუბინი, რუსეთი)

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

*ვინ ვინ და ოტმარ ჰიცფელდი რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მწვრთნელია, წყალი არ გაუვა. არც მის პრინციპებს გასდის ყავლი, რომელთაგან ერთსა და, ალბათ, ყველაზე ნიშანდობლივს „როტაციის პრინციპი" ჰქვია. ერთი სიტყვით, ფიფას პერიოდულ გამოცემა „ფიფა მეგეზინს" ჰიცფელდმა თავისი სამწვრთნელო ფილოსოფიის სწორედ ნიშანდობლივი ასპექტი გადაუშალა, რაც მხოლოდ გულშემატკივარი მკითხველისთვის კი არა, არამედ ჩვენი საფეხბურთო სპეციალისტებისთვისაც საინტერესო და ყურადსაღები უნდა იყოს.*



# ოტმარ ჰიცფელდი: ფეხები მაღლა!

## ნუ იყენებთ ერთი და იგივე ფეხბურთელების სხეულს

**გამოთქმა** „როტაციის პრინციპი" ჩემი აღმოჩენა არაა, თუმც გერმანიაში ეს ფრაზა ჩემს ატრიბუტიკად მიიჩნევა. მას შემდეგ, რაც მიუნხენის „ბაიერნის" მწვრთნელი გავხდი, გუნდის, ასე ვთქვათ, ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებს რეგულარულად ვაძლევ თამაშისგან შესვენების საშუალებას. შედეგად, ხშირად იცვლება ხოლმე სასტარტო თერთმეტეული — აქედან წარმოიშვა სახელი: როტაციის პრინციპი.

მე იძულებული გახლდით მიმელო ეს ზომები ორი მიზეზის გამო: გუნდის წარმმართველი ფეხბურთელები გარკვეული ხნით იმ დაძაბულობას განმერიდებინა, რასაც დღევანდელ დღეს ტოპ-კლასის საფეხბურთო მატჩების თამაში ჰქვია; მეორე მხრივ კი, გუნდის დანარჩენ ფეხბურთელებს სათამაშო პრაქტიკის საშუალება ეძლევათ, რაც ერთობ მნიშვნელოვანია.

იმ მოსაზრებაზე ვდგავარ, რომ ევროპის ტოპ-გუნდებს — ცხადია, „ბაიერნს" ასეთ კატეგორიას მივაკუთვნებ — უზომოდ გადატვირთული კალენდრის გამო აღარ შეუძლიათ სერიოზული ჩავარდნების გარეშე ერთი და იგივე ფეხბურთელების გამოყენება ყველა მატჩისთვის. ამხანაგური თამაშები, დარბაზის ტურნირები, ეროვნული ჩემპიონატი და თასი, ევროტურნირები — ტოპ-გუნდებმა უნდა იცოდნენ, როგორ ითამაშონ უამრავი მატჩი. ამას დაუმატეთ ისიც, სხვადასხვა ნაკრებებში რომ უწევთ ფეხბურთელებს თამაში. ასეთ რიტმს ძნელად თუ გაუძლებ როტაციის სისტემის გარეშე.

ეროვნული ჩემპიონატი და ჩემპიონთა ლიგა ორმაგი ტვირთია ფეხბურთელებისთვის. მენტალური სტრესი და შორი მოგზაურობა მოთამაშეების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ რესურსებს წურავს. ისინი, ვინც ფეხბურთელებს სთხოვენ, ყოველთვის ითამაშონ, გადაწვის რისკის წინაშე აყენებენ მოთამაშეებს — სახელგანთქმულ ფეხბურთელებსაც სჭირდებათ დასვენება. ისინი არ არიან სტრესისთვის იმუნირებული რობოტები.

„ბაიერნში" მისვლისას ძირითადი შემადგენლობიდან სამი-ოთხი ფეხბურთელი სათადარიგოთა სკამზე გავამწესე და რეგულარულად ვერ ხვდებიან სასტარტო თერთმეტეულში. განა არ იმსახურებენ, უბრალოდ კვირაში ორისამი თამაშის თანაბრად ძლიერად ჩატარება არ შეეძლოთ. ახლა ასეთი ფეხბურთელი, ალბათ, შვიდი თუ მეყოლება. ჩემს თავს ამის უფლება იმიტომ დავრთე, რომ გუნდის 24 ფეხბურთელიდან 19 სხვადასხვა ეროვნული ნაკრების წევრია ანუ მაღალი კლასის მოთამაშეები არიან და ერთმანეთის სრულფასოვნად შეცვლა შეუძლიათ. გუნდის ყველა ფეხბურთელისთვის ნათქვამი მაქვს, რომ ხანდახან შესვენება ყველას მოუწევს. გამონაკლისი მხოლოდ ოლივერ კანია.

როცა „ბაიერნში" როტაციის სისტემა პირველად წარვადგინე, ზოგიერთმა ფეხბურთელმა ცხვირი მაღლა ასწია, მაგრამ სკეპტიციზმი მალე რეალიზმად იქცა, რადგან ეს აბსოლუტურად აუცილებელია. ახლა უკვე ფეხბურთელები არიან მეტად კმაყოფილნი, როცა მათ დასვენების და ფეხების მაღლა შემოწყობის საშუალებას ვაძლევ. გუნდის ნებისმიერმა მოთამაშემ იცის, რომ ის საჭიროა და, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება ის მინდორზე შეუშვა. მაგრამ ის ფეხბურთელები, რომლებიც სათადარიგოთა სკამს დიდხანს ათბობენ და იშვიათად ეძლევათ თამაშის შესაძლებლობა, უბრალოდ ვერ გაძლებენ ჩემს გუნდში.

როტაციის პრინციპის სისწორე დრომ დაამტკიცა. „ბაიერნის" სამედიცინო დეპარტამენტი მას დადებითად აფასებს, რადგან ის ოპტიმალურია ფეხბურთელთა ჯანმრთელობისთვის — ამ სისტემის დანერგვის შემდეგ ტრავმებმა იკლო, განსაკუთრებით კუნთების დაჭიმვამ და გამაგრებამ.

გამარჯვებული გუნდის შემადგენლობას არასდროს ცვლიან — თორმეტითოთხმეტი წლის წინ ეს საკმაოდ საფუძვლიანი სენტენცია გახლდათ, მაგრამ დღეს უკვე მოძველებულია.

ჩემი არჩეული სისტემის სისწორეში დარწმუნებული ვარ და მჯერა, რომ სხვაგანაც გავრცელდება. ნაწილობრივ ეს უკვე ხდება კიდეც. მაგალითად, ხანდახან „მანჩესტერ იუნაიტედი" იყენებს ამ პრაქტიკას, თავის დროზე „ლაციოც" იგივეს აკეთებდა და ყველა შემთხვევაში როტაციის სისტემამ გაამართლა.

როტაციის პრინციპს ნაკლიც აქვს. როცა ვარსკვლავები არ გადიან მოედანზე, ტოპ-გუნდების თამაშის ხარისხი 10-15 პროცენტით კლებულობს.

თუმც მიუხედავად როტაციის პრინციპის სიკეთისა, მატჩების რაოდენობა მაინც ლიმიტირებული უნდა იყოს. ამაზე ფიფაც უნდა დაფიქრდეს, რადგან ძალიან ბევრი მატჩის გამო თამაშის ხარისხი კლებულობს და ამით მაყურებელიც ზარალდება.

# ფენომენი და ფენომენი

## სერიოზული არაფერი ყოფილა

## ეს ის ფეხი არ არის



ფლორენტინო პერესი და რონალდო ერთმანეთს დითირამბებს უძღვნიან

**„თუ მინდა,** რომ „რეალში" კარგად ვითამაშო, მეც ვისიამოვნო და მაყურებელიც ვისიამოვნო, არ უნდა ავჩქარდე — განაცხადა დიდი სატრანსფერო ომის შემდეგ, როგორც იქნა მადრიდში გადასულმა ბრაზილიელმა მსოფლიოს ჩემპიონმა რონალდომ — „რეალი" მსოფლიოს უდიდესი კლუბია, მას ფანტასტიკურად ტექნიკური ფეხბურთელები ჰყავს და იქ, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა იოლი არ იქნება, თუმცა მოთამაშეებს შორის კონკურენცია ცუდი არ არის."

რონალდოს სიდინჯის მიზეზი კი მისი მარცხენა ფეხის მცირედგაჭიმული კუნთი გახლავთ, ოღონდ, ამ კუნთს იმ მუხლში ნუ აურევთ, „ფენომენი" ბოლო ორი წლის მანძილზე გვარიანად რომ აწვალა.

„სერიოზული არაფერია. სატრანსფერო დავიდარაბის გამო სეზონის წინ თითქმის არ მივარჯიშია, ხოლო მოუმზადებელი ორგანიზმისთვის კუნთის მცირედ გაჭიმვა სრულიად ბუნებრივი გახლავთ. რაც შეეხება მუხლს, მსოფლიოს ჩემპიონატზეც გამოჩნდა, რომ ის ძლარ მტკივა და პირველი, ვინც ამ საკითხის გამო აღარ ნერვიულობს, თავად გახლავართ."

შემდეგ, „ბაჭიამ" კბილი „რეალის" მარადიულ მოქიშპეს, „ბარსელონასაც" გაჰკრა.

„მადრიდში თავის გამოჩენა ჩემი სანუკვარი ოცნებაა და არ გამოვრიცხავ, რომ აქ იმაზე უკეთ ვითამაშო, ვიდრე „ბარსელონაში" ვთამაშობდი. მახსოვს, „ბარსაში" ბურთაობისგან სიამოვნებას ვიღებდი, ახლა კი იგივეს „რეალში" ვაპირებ. „ინტერიდან" წამოსვლის თაობაზე კი მოგახსენებთ, რომ საამისოდ სერიოზული მიზეზი მქონდა, მაგრამ იმ მიზეზზე საჯაროდ ლაპარაკს არ ვაპირებ. მილანშიც მქონდა კარგი პერიოდები, მაგრამ ეს უკვე წარსულია, ახლა, მხოლოდ მადრიდზე ვფიქრობ."

მადრიდში კი რონალდოს სტილი მოსწონს და არა მხოლოდ „რეალის", არამედ ზოგადად ესპანური.

„იტალიურ ფეხბურთზე ცუდის თქმა არ მინდა, მაგრამ ესპანეთში უფრო ლაღად თამაშობენ, გოლებიც უფრო ხშირად გააქვთ და, ამიტომაც ვფიქრობ, რომ აქ მეტად ვიხალისებ."

ბოლოს კი „ფენომენმა" სიტყვა „რეალის" პრეზიდენტზე, ფლორენტინო პერესზე შეაჩერა:

„პრეზიდენტი ნამდვილი ფენომენია — გაიღიმა თავდამსხმელმა — მან „რეალს" ისეთი საქმეები გაუკეთა, რომ უკვე ისტორიაშია შესული. ახლა, მის პოლიტიკას ფეხბურთელებმა უნდა აუწყონ მხარი. მისი გარჯა ჩვენ უნდა დავაფასოთ."

**ბაჩუნა ძიძია**



ექტორ რაულ კუპერი

# ნდობის ორი წელი

## კუპერი რონალდოს დაგვიანებს

**„ინტერის"** მეპატრონე მასიმო მორატიმ მწვრთნელ ექტორ რაულ კუპერს სრული მხარდაჭერის ნიშნად კონტრაქტი გაუხანგრძლივა. „კუპერმა უკვე მოაწერა ხელი ახალ შეთანხმებას. ის კიდევ ორი სეზონით დარჩება ჩვენთან" — ბრძანა პრეზიდენტმა.

არგენტინელი მწვრთნელი მილანურ კლუბში, შეგახსენებთ, „ვალენსიადან" მივიდა, მას შემდეგ, რაც ესპანური გუნდი ზედიზედ ორჯერ ათამაშა ჩემპიონთა ლიგის ფინალში, თუმცა თასი ერთხელაც ვერ მოაგებინა. „ვალენსიამდე" კი კუპერი „მალიორკას" წვრთნიდა წარმატებით — თასების მფლობელთა თასის ფინალში გაიყვანა.

„კუპერი ბრწყინვალე პიროვნება და მწვრთნელია, მჯერა, მას შეუძლია, „ინტერს" წარმატება მოუტანოს. რონალდოს წასვლა არაფერს ნიშნავს, მის განკარგულებაში სხვა უმაღლესი კლასის ფორვარდები იქნებიან — ერნან კრესპო, კრისტიან ვიერი და ალვარო რეკობა" — დასძინა მორატიმ.


# იყიდება სასწრაფოდ!

შავი ანტიკვარული

როიალი „ბეხშტეინი", ნახევრადსაკონცერტო,

მე-19 საუკუნის, დამზადებულია შეკვეთით.

ფასი შეთანხმებით



**ტელ: 22-23-15**

# მამა, მიშველე რამე!

*„შენი ფეხბურთი დასრულდა" — უთხრა „სპარტაკის" ტექნიკურმა დირექტორმა ალექსანდრ შიკუნოვმა დმიტრი სიჩევს და მხარზე ხელი მოუთათუნა...*

*დღეს რუსეთში პანკისის ხეობაზე არანაკლებ „სიჩევის საქმეზე" ლაპარაკობენ. ამ საქმეში ფეხბურთელის მამა ევგენი სიჩევიც ჩაერთო, რაც გასაკვირი სულაც არ არის. ის თავის დროზე ფეხბურთელი იყო, ახლა კი ომსკში საფეხბურთო სკოლას თავკაცობს.*

*მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, მალევე, დიმას მამისთვის დაურეკავს და უთქვამს, პრობლემები მაქვს, შენი დახმარება მჭირდებაო.*

*მოგვიანებით „ზარი ახლობელთან" გამეორდა, მამასაც აღარ დაუხანებია, მოსკოვში ჩაფრინდა.*





დმიტრი სიჩევმა ოლეგ რომანცევი ძალიან გააბრაზა

**ეს ამბავი** გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე დიმა გუნდიდან წასვლის თაობაზე განცხადებას დაწერდა — ბრძანა უფროსმა სიჩევმა — როცა ადამიანს, იმისთვის რომ „სპარტაკიდან" წასვლაზე არ იფიქროს, აშინებენ და მასზე ზეწოლას ახდენენ, ეს დამონებაა, სხვა სახელს ვერ ვუწოდებ. ჩემი შვილის მომავლისთვის ბოლომდე ვიბრძოლებ, მნიშვნელობა არ აქვს, მოწინააღმდეგე ვინ იქნება.

ისევ ევგენი სიჩევის ნაამბობიდან: „მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ერთხელ მივლინებით მოსკოვში ვიყავი. „სპარტაკის" ტექნიკურ დირექტორ ალექსანდრ შიკუნოვს შევხვდი. ჩვენს შორის მოკლე, მშრალი საუბარი შედგა. მან მითხრა, რომ დიმასთან დაკავშირებით ყველაფერი რიგზეა, მისით ყველანი კმაყოფილნი ვართ, თუ თამაშს მოუმატებს, ხელფასსაც გავუზრდითო. ვკითხე, რამდენს იღებს-მეთქი, რადგან ჩემი შვილის კონტრაქტი თვალით არც მინახავს. შიკუნოვმა პასუხს თავი აარიდა და სხვათა შორის მითხრა, შეიძლება „სპარტაკში" სამუშაოდ ჩამოგიყვანოთო. გამიკვირდა და ვუთხარი, ომსკში სამუშაო არ მაკლია-მეთქი.

მოკლედ, 13 აგვისტოს უმცროსი სიჩევის განმეორებით ზარს მამა გამოეხმაურა და 14-ში მოსკოვს ეწვია. დედაქალაქში იგი „სპარტაკის" პრეზიდენტ ანდრეი ჩერვიჩენკოს შეხვდა. პრეზიდენტმა მას მოსკოვში ბინის ყიდვასა და სამსახურზე ჩამოუგდო სიტყვა, თან დააყოლა, გუნდის ხელმძღვანელობა დიმას კონტრაქტის გადახედვაზე ფიქრობსო.

ევგენი სიჩევი: „15-ში ჩემი შვილი ანდრეი ჩერვიჩენკოს კაბინეტში დაიბარეს. იქვე იყვნენ შიკუნოვი, რომანცევი და ფედოტოვი. ოთხმა კაცმა მას დაკითხვა მოუწყო, ჩემი ვიზიტის მიზეზი აინტერესებდათ. ბოლოს ერთმნიშვნელოვნად უთხრეს, თუ გსურს თამაში გააგრძელო, ყველა ფურცელს, რომელიც ცხვირწინ გიწყვია, ხელს მოაწერო. დიმამ კატეგორიული უარი განუცხადა."

15-ში, გვიან საღამოს, ფეხბურთელის მამა ოლეგ რომანცევს შეხვდა, მაშინ, როცა ევგენი სიჩევმა დღისით მომხდარის შესახებ უკვე ყველაფერი იცოდა.

ოლეგ რომანცევი: „ჩვენ დაახლოებით სამი საათი ვისაუბრეთ. ისიც კი გავიხსენეთ, რომ ფეხბურთელობისას ერთმანეთის წინააღმდეგ გვითამაშია. მე ავუხსენი, რომ დიმას კარიერა ესესაა დაიწყო და მას დაოსტატება სჭირდება. იგი დამეთანხმა. დმიტრის „სპარტაკიდან" წასვლაზე სიტყვა არ ჩამოგვიგდია. ეჭვიც არ შემპარვია, ერთმანეთს გავუგეთ."

16-ში დილით მამა-შვილმა მოითათბირა და გუნდიდან წასვლის თაობაზე განცხადება გააშანშალა. იმ დღეს „სპარტაკი" „ალანიას" ხვდებოდა. მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე „ტორპედოს" სტადიონზე, გასახდელში, ანდრეი ჩერვიჩენკო შევიდა და რომანცევს განცხადება აუფრიალა, რომელსაც დმიტრი სიჩევის ხელმოწერა ამშვენებდა. „ეს შეუძლებელია" — აღმოხდა თურმე რომანცევს. ჩერვიჩენკომ დაარწმუნა, რომ სავსებით შესაძლებელი იყო.

„სპარტაკის" მწვრთნელმა უკვე იმაზე დაიწყო ფიქრი, ეთამაშებინა თუ არა ფეხბურთელი სასტარტო შემადგენლობაში. სიჩევმა პირველი ტაიმი ითამაშა. მამამისი ამბობს, რომ კარგად, რომანცევმა გადაწყვიტა, რომ ცუდად და შეცვალა. სწორედ მაშინ აუწყა შიკუნოვმა სიჩევს საფეხბურთო კარიერის დასრულების შესახებ.

ოლეგ რომანცევი: „მასმედია და მთელი საფეხბურთო სამყარო ზეწოლას მასზე კი არა, ჩემზე ახდენდა, რადგან პირტიტველა ბიჭი, რომელიც მეორე ლიგაში, ტამბოვის „სპარტაკში" თამაშობდა, ეროვნულ ნაკრებში გამოვიძახე და ვენდე. კარგად შემახურეს, მაგრამ ჩემს აზრზე ვიდექი, მიუხედავად იმისა, რომ რისკზე მივდიოდი. არც მიფიქრია, თუ დიმას მოსკოვის „სპარტაკის" დატოვება აზრად მოუვიდოდა. ის ხომ კლუბს სიყვარულს ეფიცებოდა, მაგრამ სწორედ იქიდან გამომისვეს ცელი, საიდანაც არ ველოდი. გუნდიდან ასე არ მიდიან, მას კლუბის და თანაგუნდელების ვალი აქვს, რომლებიც გოლის გატანაში ეხმარებოდნენ. დაბრუნდება რომ გადაწყვიტოს, მხოლოდ იმ შემთხვევაში ვაპატიებ, თუ დამტკიცდება, რომ სხვათა კარნახით მოქმედებდა. სხვა შემთხვევაში გზას დავულოცავ."

როცა დმიტრი სიჩევი ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო, მის გვერდით ვინმე სოკოლოვი თამაშობდა. ამ სოკოლოვის მამა, ალექსანდრ სოკოლოვი, ბუნებრივია, ევგენი სიჩევს ნაკრების მატჩებისას ხვდებოდა და ერთმანეთს დაუახლოვდნენ. ალექსანდრ სოკოლოვი შეძლებული რუსია და დმიტრი სიჩევი მამამისის ნებართვით საკუთარი „ფრთის ქვეშ" შეიფარა. ორი წლის განმავლობაში დიმა მან ოთხჯერ ჩაიყვანა მოსკოვში, „სპარტაკთან" სინჯებზე. ფეხბურთელი მეოთხე ცდაზე აიყვანეს. სიჩევის მამას მისთვის უთხოვია, ჩემს ბიჭს ყურადღება მიაქციეო.

ევგენი სიჩევი: „როგორც შევიტყვე, „სპარაკმა" ტამბოველებს, ოფიციალურად, ჩემი შვილის სანაცვლოდ 3 ათასი დოლარი ჩაუთვალა, ხოლო ალექსანდრ სოკოლოვმა ასეთი ტალანტის აღმოჩენისთვის საკმაოდ სოლიდური თანხა მიიღო მოსკოველებისგან. არადა, არც ერთი დამადასტურებელი საბუთი არ არსებობს იმისა, რომ იგი დმიტრი სიჩევის აგენტია."

„ალანიასთან" მატჩის შემდეგ გაწბილებულმა ფეხბურთელმა ბარგი-ბარხანა შეკრა და მამის რჩევით წვივის სამკურნალოდ საავადმყოფოს მიაკითხა. ცხადია, მას ძებნა დაუწყეს, მაგრამ დიდხანს არ გაწვალებულან. „სპარტაკის" შეფობამ ალექსანდრ სოკოლოვისგან შეიტყო ფეხბურთელის ადგილსამყოფელი.

ევგენი სიჩევის თქმით, სოკოლოვი თავიდან მათ მხარეს იყო, მერე მოულოდნელად კლუბის დაკრულზე აცეკვდა, სავარაუდოდ იმიტომ, რომ ფული აღებული ჰქონდა და [illegible] გუნდის მამებმა დმიტრის [illegible]რება მოსთხოვეს.

ალექსანდრ სოკოლოვს შსს-ს გენერლის ფორმიანი კაცი გაყოლეს, რათა კლინიკიდან ფეხბურთელი ძალის გამოყენებით წაეყვანათ.

მამამ იყნოსა და შვილთან ერთად აორთქლდა. თან, ერთ-ერთი ვერსიით, სათადარიგო გასასვლელით დატოვა კლინიკა, თუმც ამ ვერსიას ევგენი სიჩევი უარყოფს.

გარდა ამისა, ევგენი სიჩევს ვერ გაუგია, რატომ უნდა დაიწეროს ჯვარი მისმა ბიჭმა მოსკოვის „სპარტაკზე": „ოლეგ რომანცევი მარწმუნებდა, თითქოს დიმას „სპარტაკიდან" წასვლა ადრეაო. არ მესმის, რატომ არ შეიძლება, ითამაშოს უცხოურ კლუბში, ამასთან ერთად კი რუსეთის ნაკრებში. როგორც მაგალითად, კარპინი, მოსტოვოი ან სმერტინი. გამოდის, რომ მის განვითარებაზე კი არა, რაც შეიძლება სარფიანად გაყიდვაზე ფიქრობენ და ამიტომაც სურთ, „სპარტაკს" დიდი ხნით „მიაწებონ", ის ხომ ჯერ 18 წლისაა. ამბობენ, „სპარტაკაში" თამაში ყველას ხვედრი არაა და „სახალხო გუნდში" შეიძლება ცხოვრებაში ერთხელ მოხვდეო. კი მაგრამ, ძლიერ, სახელოვან უცხოურ კლუბშიც ხომ ყოველდღე არ დაგპატიჟებენ. რატომ უნდა ჩაკლან ასეთი სურვილი? რა, არავინ წასულა „სპარტაკიდან"? თუნდაც იგივე ტიხონოვი, ციმბალარი, ბუშმანოვი და ციხმეისტრუკი."

ამასობაში „სპარტაკის" პრესმდივანმა ალექსანდრ ზინინმა განაცხადა, რომ იპოვეს კაცი, რომელმაც დმიტრი სიჩევს ასეთი ნაბიჯი გადაადგმევინა. ეს გახლავთ ლიცენზირებული საფეხბურთო აგენტი სერგეი ბაზანოვი. ბაზანოვი იმავდროულად საფეხბურთო კლუბ „კრასნოზნამენსკის" იურისტი ყოფილა. გამოძიება უკვე დაწყებულა და თუ ბაზანოვს წამქეზებლობა დაუმტკიცდა, შეიძლება, ლიცენზიასაც დაემშვიდობოს.

მოკლედ, დმიტრი სიჩევის გარშემო დიდი ფულის სუნი ტრიალებს. ერთ-ერთ იტალიურ გაზეთში ისიც კი დაიწერა, თითქოს რომელიღაც ბობოლა კლუბი ფეხბურთელის სანაცვლოდ 18 მილიონ ევროს ჩამოდისო.

ასეა თუ ისე, ეს ამბავი, როგორც უნდა დასრულდეს, მოსკოვის „სპარტაკისთვის" გაკვეთილი იქნება. რუსეთში ხომ მიღებულია, რადგან „სპარტაკში" ხარ, ჩუმად უნდა იყო. კონტრაქტზე და ხელფასის მომატებაზე ხმამაღლა ვერ ისაუბრებ.

დღეს რეალობა შეიცვალა: ფეხბურთელებისთვის ჯამაგირს კლუბის სახელზე და ტიტულებზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# აქ ვერავინ მოგვიგებს

## კვიპროსი ებრაელთა სამშობლოა

**უეფას** გადაწყვეტილებით, ჰაიფას „მაკაბი" ჩემპიონთა ლიგაში ჩასატარებელ სამ საშინაო მატჩს ნეიტრალურ მოედანზე, კვიპროსში ჩაატარებს.

მოგეხსენებათ, ამჟამად ისრაელში ტერორიზმთან ბრძოლა მიმდინარეობს და ევროპული კლუბებიც ამ ქვეყანაში სტუმრობას ერიდებიან.

„მაკაბი" პირველი ებრაული გუნდია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გააღწია და, მისდა სამწუხაროდ, სამივე საშინაო მატჩს უცხო ქვეყანაში, ნიქოზიის 25-ათასიან სტადიონზე უმასპინძლებს. „მაკაბის" მეტოქეები კი ბერძნული „ოლიმპიაკოსი", გერმანული „ლევერკუზენი" და ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი" არიან.

„გვსურდა, ასეთ გუნდებს მშობლიურ სარბიელზე, ჰაიფაში დავხვედროდით, თუმცა სამწუხაროდ, ეს არარეალურია" — განაცხადა კლუბის გენერალურმა მენეჯერმა იტამარ ჩიზიკმა.

თუმცა ებრაელთათვის ნიქოზიის სტადიონი არც ისე უცხოა. ამ სტადიონზე ორი თვის წინ „მაკაბიმ" უკვე ჩაატარა ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი ბელარუსულ „ბელშინასთან" და მეტოქე 4:0 გაანადგურა. მომდევნო ეტაპზე „მაკაბიმ" ავსტრიული „შტურმი" ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში მიიღო და 2:0 მოუგო. ბულგარელები ჰაიფელებს თავიანთ სტადიონს მომავალი თამაშებისთვისაც დაჰპირდნენ, თუმცა ებრაელებმა სოფიაში წასვლას კვიპროსი არჩიეს, სადაც თვითმფრინავით სულ რაღაც 40 წუთში გადაფრინდებიან.

ნიქოზიელებმა თავიანთი სარბიელი ებრაელებს შარშანაც დაუთმეს, როცა უეფას თასის მეოთხედფინალურ მატჩში თელ ავივის „ჰაპოელი" „მილანს" შეხვდა და 1:0 მოუგო.

როგორც ჩანს, ებრაელებს ნეიტრალურ მოედანზე თამაში კარგად აქვთ დაცდილი.

ჰაიფას „მაკაბი" პირველ მატჩს 18 სექტემბერს მანჩესტერში ჩაატარებს და საქომაგოდ ხუთი ათასამდე გულშემატკივარს იახლებს.

**ლუკა ბეზეშკორი**



„მაკაბი" ლიგაშია. ბედი არ გინდა, ჩვენს გარდა ყველამ შეაღწია

2002-2003 წლების სეზონის ჩემპიონთა ლიგა 17 სექტემბერს იწყება, მონაწილე გუნდებიც უეფაში განაცხადებს ნელ-ნელა აგზავნიან. აქ კიევის „დინამოსა" და იტალიური „მილანის" შემადგენლობას გაახლებთ.

**დინამო (კიევი, უკრაინა)**

| | |
|---|---|
| | მეკარეები |
| 1 | ალექსანდრ შოვკოვსკი |
| 12 | ვიტალი რევა |
| 13 | რუსტამ ხუჯამოვი |
| | მცველები |
| 6 | იური დმიტრულინი |
| 22 | ალექსანდრ რადჩენკო |
| 24 | ლასლო ბოდნარი |
| 26 | ანდრეი ნესმაჩნი |
| 27 | ალექსანდრ ლუჩუკი |
| 32 | გორან გავრანჩიჩი |
| 35 | გორან საბლიჩი |
| | ნახევარმცველები |
| 2 | ალექსანდრ ხაცკევიჩი |
| 9 | ბადრ ელ-კადური |
| 10 | ფლორინ ჩერნატი |
| 11 | გეორგი პეევი |
| 14 | ანდრეი გუსინი |
| 17 | ტიბერიუ გიოანე |
| 18 | ვასილი კარდაში |
| 23 | ტომაშ ბრუშკო |
| 29 | ვიტალი ლისიცკი |
| 30 | იგორ სკობა |
| 36 | ჟერკო ლეკო |
| | თავდამსხმელები |
| 7 | ალექსანდრ მელაშჩენკო |
| 8 | ვალენტინ ბელკევიჩი |
| 15 | დიეგო რინკონი |
| 16 | მაქსიმ შაცკიხი |
| 19 | მაჩადუ ლეანდრო |
| 21 | ლაკი იდახორი |
| 28 | დმიტრი ვორობეი |
| 33 | ალექსანდრ ალიევი |

მწვრთნელი: ალექსეი მიხაილიჩენკო

**მილანი (იტალია)**

| | |
|---|---|
| | მეკარეები |
| 1 | ვალერიო ფიორი |
| 12 | ნელსონ დიდა |
| 18 | კრისტიან აბიატი |
| | მცველები |
| 2 | თომას ჰელვეგი |
| 3 | პაოლო მალდინი |
| 4 | კახა კალაძე |
| 13 | ალესანდრო ნესტა |
| 14 | დარიო შიმიჩი |
| 16 | ხოსე ანტონიო შამოტი |
| 19 | ალესანდრო კოსტაკურტა |
| 24 | მარტინ ლაურსენი |
| 25 | ჟოზე ვიტორ როკე ჟუნიორი |
| | ნახევარმცველები |
| 8 | ჯენარო გატუზო |
| 10 | მანუელ რუი კოშტა |
| 11 | ვიტორ ბარბოსა რივალდო |
| 20 | კლარენს ზეედორფი |
| 21 | ანდრეა პირლო |
| 23 | მასიმო ამბროზინი |
| 27 | კლაუდიო სერჟინიო |
| 28 | სემ დალა ბონა |
| | თავდამსხმელები |
| 7 | ანდრეი შევჩენკო |
| 9 | ფილიპო ინძაგი |
| 15 | იონ დალ ტომასონი |
| 30 | მარკო ბორიელო |

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

# რაო? ვახშამიო!

**ბელგიელი** ერიკ გერეტსი, მწვრთნელი და წარსულში ქართველი ქომაგებისთვის კარგად ნაცნობი ვარსკვლავი, გუშინ, გერმანული „კაიზერსლაუტერნის“ მწვრთნელად დანიშნეს. მან თანამდებობაზე 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, ანდრეას ბრემე შეცვალა.

„გამოგიტყდებით, ცოტა ვღელავ, მაგრამ ამხელა გუნდში მუშაობის დაწყება ნერვიულობის გარეშე ხომ წარმოუდგენელი იქნებოდა — განაცხადა გერეტსმა ორწლიანი კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ და დასძინა — მე ამქვეყნად წარმატებების მისაღწევად ვცხოვრობ და რაკი აქ სამუშაოდ ჩამოვედი, ესე იგი გამარჯვებების იმედი მაქვს, ოღონდ საამისოდ მშვიდი პირობები მჭირდება“.

მოგეხსენებათ, 48 წლის ბელგიელი მაისში „ეინდჰოვენის“ მწვრთნელის თანამდებობიდან გაანთავისუფლეს.

გერეტსს მსოფლიოს სამ ჩემპიონატში აქვს ნათამაშევი — 1982, 1986, 1990 წლებში — და, რაც ყველაზე საინტერესოა, მისი მონაცემები ზუსტად ემთხვევა ბრემესას. ნაკრებში ორივეს 86 მატჩი აქვს ჩატარებული.

„ანდრეასს ტელეფონით ვესაუბრე. მან წარმატება მისურვა. უახლოეს ხანს ერთად ვივახშმებთ“ — დასძინა გერმანიის ოთხგზის ჩემპიონის ახალმა მწვრთნელმა.

მოგეხსენებათ, ბრემესთან ერთად გუნდიდან მისი დამქაში, „ლაუტერნის“ თავმჯდომარე იურგენ ფრიდრიხიც წავიდა.

მას რენე იაეგი შეცვლის. იაეგი ადრე შვეიცარიულ „ბაზელში“ პრეზიდენტობდა.

**ბაჩუნა ძიძია**



ერიკ გერეტსი

# რომეო ოლდ ტრეფორდზე




*აბა, სამშობიაროს ეზოში მანქანის საბარგულზე სუფრის გაშლას ვინ აცდიდა – მეორე ბიჭის დაბადებიდან მესამე დღეს დევიდ ბექემს მორიგი მატჩი ელოდა. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მოიგო, თავად ბექემი კი დაშავდა და დრო გამოუჩნდა, ცოლ-შვილს მიხედოს. თუმცა ახალშობილის „დებიუტი“ პრემიერლიგაში უკვე შედგა. „ადიდასმა“ მოასწრო და „მიდლსბროსთან“ მატჩისთვის ბექემის ბუცებზე 3 წლის ბრუკლინისას 3 დღის რომეოს სახელიც მიაწერა. შეგახსენებთ, რომ 27 წლის დევიდს უფროსი ვაჟის სახელი ზურგზეც აქვს ამოტატუირებული. ცოლი კი – იგივე დედა, იგივე პოშ-სპაისი, იგივე ვიქტორია – ჯერ კიდევ დასავლეთ ლონდონის სამშობიაროშია. როგორც ამბობენ, მისის ბექემმა რომეოს მონათვლა სერ ელტონ ჯონს სთხოვა.*


## 24 საათი თქვენს განკარგულებაში

ავტოტრანსპორტით, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობითა და იარაღით

## დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური

## შპს «დარაკა»

- პერსონალური დაცვა, საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა სფეროში დასაქმებული მოქალაქეებისთვის.
- დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.
- საოფისე, ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი სახლების, წარმომადგენლობებისა და ორგანიზაციების დაცვა.
- იურიდიული კონსულტაცია.
- საადვოკატო მომსახურება.
- სასამართლო წარმომადგენლობა.
- აუდიტი.

**ჩვენ ვიცავთ კანონს! კანონის უზენაესობა უპირობოა!**

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, სართული 5.
ტელ: (99532) 394003, ტელ/ფაქსი: (99532) 225186





**გერმანულმა** „ბაიერნმა“ თავის ინგლისელ ნახევარმცველ ოუენ ჰარგრივსს კონტრაქტის გაგრძელება 2006 წლამდე შესთავაზა, რაზეც ფეხბურთელმა თანხმობა განაცხადა. მხარეები ამ კვირაში შეხვდებიან და ახალ კონტრაქტსაც გააფორმებენ.

**რუსეთის ჩემპიონატის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი ოლეგ ვერეტენიკოვი 12-წლიანი განშორების შემდეგ მშობლიურ როსტოვის სკა-ს დაუბრუნდა.**

**საფრანგეთის** იოან მიკუ, რომელიც ამ ზაფხულს ბრემენის „ვერდერში“ სამი წლით გადავიდა, აცხადებს, რომ ადვილი შესაძლებელი იყო, „არსენალში“ ან „ლივერპულში“ გადასულიყო, მაგრამ ბრემენელებმა მას უფრო კარგი პირობები შესთავაზეს. მისივე თქმით, ექვსი თვის წინ მას „ბაიერნიც“ ეპატიჟებოდა, მაგრამ რაღაც გაუგებრობის გამო ეს ტრანსფერი ჩაიშალა. „მსურდა, პრემიერლიგაში მომესინჯა ძალები, მაგრამ ხანდახან ჩვენი სურვილები აუხდენელი რჩება“ — თქვა გულდაუთუთქულმა ფრანგმა.

**ინგლისური „არსენალის“ ფრანგი ნახევარმცველი რობერ პირესი მოედანს ნოემბერში დაუბრუნდება, თუმც მას სურდა, უფრო ადრე, 22 ოქტომბერს ეთამაშა, როცა „არსენალი“ ჩემპიონთა ლიგის მატჩში ფრანგულ „ოსერს“ შეხვდება. „უკვე კარგად ვარ და მსუბუქად ვარჯიში დავიწყე“ — განაცხადა პირესმა. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელმა ტრავმა მარტში მიიღო, რის გამოც მსოფლიოს ჩემპიონატი გამოტოვა.**

**ესპანეთის** მეორე დივიზიონის „ლევანტემ“ ერთი წლით იუგოსლაველი თავდამსხმელი პრედრაგ მიატოვიჩი გადაიბირა, რომელიც ადრე ესპანურ „რეალსა“ და იტალიურ „ფიორენტინაში“ თამაშობდა.

**სამხრეთაფრიკელი ლუკას რადებე ინგლისურმა „ლიდსმა“ ეროვნულ გუნდში არ გაუშვა. „ფეხბურთელი ტრავმირებულია და მგზავრობა არ შეუძლია“ — განაცხადა „ლიდსის“ წარმომადგენელმა. რადებემ კი ტრავმის გამო უკვე გამოტოვა შაბათის მატჩი „ბირმინგემთან“.**

**ბელგიურმა** „ანტვერპენმა“ ბელარუსის ნაკრების მეკარე გენადი ტუმილოვიჩი ორი წლით გადაიბირა. „ბელგიაში ჰოლანდიასთან მატჩის შემდეგ გავემგზავრები და სამუშაო ვიზას თუ არ დამიგვიანებენ, უახლოეს მატჩში „ანდერლეხტის“ წინააღმდეგ ვითამაშებ“ — განაცხადა ტუმილოვიჩმა.

**ბრაზილიურმა „ვასკუ და გამამ“ ბებეტოსთან კონტრაქტი გააფორმა და მაშინვე ექვსთვიანი არენდით არაბულ „ალ-ითაჰადში“ გაუშვა. ბრაზილიური კლუბი ამჟამად მძიმე მდგომარეობაშია და ცარიელი ჯულაბის შესავსებად ფეხბურთელებს ყიდის. ბებეტოს შარშანდელი ოქტომბრიდან არ უთამაშია და „ვასკუ და გამასთან“ კონტრაქტი მხოლოდ კლუბის თხოვნით გააფორმა. სავარაუდოდ, ფეხბურთელი კარიერას „ალ-ითაჰადში“ დაასრულებს.**

**გერმანულმა** „ბაიერნმა“ ბრაზილიელი ზე რობერტოს ტრავმაში ფეხბურთელის ძველი კლუბი, „ლევერკუზენი“ დაადანაშაულა. „მას არასწორად უმკურნალეს, მთელი წელი ტკივილგამაყუჩებელ წამლებს ასმევდნენ“ — გაანცხადა „ბაიერნის“ თავკაცმა ოტმარ ჰიცფელდმა. „ლევერკუზენის“ ფიზიოთერაპევტმა დიტერ ტრზოლეკმა კი ეს ბრალდება უარყო, რაც ჰიცფელდმა თქვა, სიცრუეა, ზე რობერტოს არასდროს მიუღია ტაბლეტები, გამაყუჩებლით ფეხბურთელს მოედანზე არც ვუშვებთ.

**იტალიურმა „ბოლონიამ“ გულშემატკივრებს სამი ახალი მოთამაშე წარუდგინა. კრისტიან ამორუზო ბოლონიელებს გამქრალი „ფიორენტინადან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა. გუნდის ახალწვეულები აგრეთვე არიან ვერონელი ნახევარმცველი ემილიანო სალვეტი და მარკო ძანკი „იუვენტუსიდან“. ორივე ფეხბურთელი იჯარის წესით მისთხოვდა „ბოლონიას“.**

**ესპანურმა** „სელტამ“ არგენტინული „რივერ პლეიტიდან“ ედუარდო კუდეცი შეიძინა. ფეხბურთელის თქმით, ევროპაში, კერძოდ ესპანეთში თამაში მისი ოცნება ყოფილა და მოხარულია, რომ ბედს ეწია. „სელტას“ ასევე განზრახული აქვს კონტრაქტები გაუგრძელოს ალექსანდრ მოსტოვოის და გუსტავო ლოპესს. საამისოდ ფეხბურთელთა აგენტებთან მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს.

**იტალიური „იუვენტუსისა“ და ურუგვაის ნაკრების მეკარემ ფაბიან კარინიმ, მოგეხსენებათ, ლონდონის „არსენალი“ იუარა. უკეთესი კლუბისა და პირობების ძიებაში ბელგიას მიადგა და იქაურ „სტანდარდთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ბელგიურმა კლუბმა სანაცვლოდ 6 მილიონ 500 ათასი ევრო გაიღო.**

# მსოფლიოს კლუბები დანომრა

*ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის ფედერაციამ კლუბთა საპირველსექტემბრო რეიტინგი გამოაქვეყნა. მისი შედგენის პრინციპებზე კი ვერაფერს მოგახსენებთ. ადგილების განაწილების სამართლიანობა თუ უსამართლობა თავად განსაჯეთ. ისე კი, რეიტინგები ხომ ძალიან პირობითი რამაა.*

| | | |
|---|---|---|
| 1/1) | რეალი ესპანეთი | 351.0 |
| 2/3) | ბაიერნი გერმანია | 314.0 |
| 3/2) | ლევერკუზენი გერმანია | 275.0 |
| 4/6) | არსენალი ინგლისი | 272.0 |
| 5/7) | მანჩესტერ იუნაიტედი ინგლისი | 272.0 |
| 6/4) | დეპორტივო ესპანეთი | 269.0 |
| 7/7) | ბარსელონა ესპანეთი | 256.0 |
| 8/13) | მილანი იტალია | 247.0 |
| 9/10) | იუვენტუსი იტალია | 243.0 |
| 10/4) | ლივერპული ინგლისი | 237.0 |
| 11/30) | სპარტა ჩეხეთი | 231.0 |
| 11/21) | ფეიენოორდი ჰოლანდია | 231.0 |
| 13/11) | ამერიკა მექსიკა | 223.5 |
| 14/23) | ინტერი იტალია | 220.0 |
| 15/19) | ბრიუგე ბელგია | 219.0 |
| 16/30) | სპორტინგი პორტუგალია | 217.0 |
| 17/9) | გრემიო ბრაზილია | 216.0 |
| 18/14) | რეინჯერსი შოტლანდია | 213.5 |
| 19/15) | პარმა იტალია | 211.0 |
| 20/18) | ბოკა ხუნიორსი არგენტინა | 210.0 |



იოანე პავლე მეორე ყმაწვილკაცობაში მეკარე იყო და ფეხბურთს ახლაც სწყალობს

# ვატიკანის ლაციო

## პაპი ფულს ფეხბურთში აბანდებს

**რომის** „ლაციო", ალბათ, მალე გამოიტანს კლუბის აქციათა გარკვეულ ნაწილს საფონდო ბირჟაზე, რათა მათი რეალიზებით სხვადასხვა დავალიანება დაფაროს. ახლახან ცნობილი გახდა, რომ ბირჟაზე გასატან „ლაციოს" აქციათა დიდ წილს სავარაუდოდ ვატიკანის ბანკი შეიძენს.

კათოლიკური ეკლესიის მთავარ ფინანსურ ორგანიზაციას ამჟამად 35 მილიარდ გირვანქიანი კაპიტალი გააჩნია. წინასწარი ვარაუდით, უშუალოდ რომის პაპს დაქვემდებარებული ვატიკანის ბანკი ახლა დაახლოებით 30 მილიონი დოლარის ღირებულების აქციებს შეიძენს „ლაციოსგან".

ამ თანხით რომაული კლუბი სხვა ხარჯებთან ერთად „მანჩესტერ იუნაიტედს" 10 მილიონ გირვანქასაც გაუსტუმრებს. მოგეხსენებათ, იტალიურმა გუნდმა შარშან ინგლისურიდან იაპ სტამი გადაიყვანა 16 მილიონ გირვანქად, თუმცა ფინანსური კრიზისის გამო მან ჯერჯერობით მხოლოდ 6 მილიონი გადაუხადა ჰოლანდიელის უწინდელ მფლობელს.

## პოლონეთი

V ტური

ვიძევი ყ ამიცა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიძევი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | 5 |
| პლოცკი | 5 | 1 | 2 | 2 | 7:9 | 5 |
| გარბანია | 5 | 1 | 1 | 3 | 7:12 | 4 |
| ზაგლებე | 5 | 1 | 0 | 4 | 8:9 | 3 |
| პოგონი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:12 | 1 |
| ოდრა | 5 | 3 | 2 | 0 | 7:4 | 11 |
| კატოვიცე | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| ლეგია | 5 | 2 | 3 | 0 | 10:8 | 9 |
| გროცლინი | 5 | 2 | 3 | 0 | 9:7 | 9 |
| ვისლა | 5 | 2 | 2 | 1 | 13:8 | 8 |
| გურნიკი | 5 | 2 | 2 | 1 | 10:8 | 8 |
| ამიცა | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| პოლონია | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 7 |
| ოსტროვიცი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| რუხი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:7 | 6 |
| ლეხი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 5 |

## იტალია

თასის II ეტაპი

ჯენოა 1:2 სამპდორია

0:1 ფლაკო (3), 1:1 დე ფრანჩესკო (57), 1:2 ბაცანი (61)


## იყიდება

ზინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე საცხოვრებელი ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე

ფასი შეთანხმებით

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7
კინოთეატრ "ოლიმპოსთან"

☎ (231) 7 17 58

ქუთაისში


# შეწყდეს ჭმუნვა!

## ფიორენტინა არ დაგვავიწყდეთ

**იტალიური** ფეხბურთის მამებმა განაცხადეს, იტალიის ჩემპიონატი აუცილებლად 14 სექტემბერს დაიწყებაო. შეგახსენებთ, რომ იტალიაში ბურთაობა ზაფხულის ბოლო დღეს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ტელეკონტრაქტების პრობლემებმა ჩემპიონატის დაწყება ორი კვირით გადაწია. სხვათა შორის, სერია A-ს იმ რვა კლუბიდან, რომლებიც ყაბულს იყვნენ, მცირეშემოსავლიანი ტელეკონტრაქტების მიუხედავად, ჩემპიონატი თავის დროზე დაწყებულიყო, ერთ-ერთმა, რომლის სახელიც არ ცხადდება, ბოლო წუთს უარი განაცხადა და უფრო მსუყე წინადადებაზე გააბა მოლაპარაკება სატელიტურ არხებთან.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ფრანკო კარარომ შეძლო და გადადების მომხრე რვა ჭირვეული გუნდი — „ატალანტა", „ბრეშა", „კიევო", „კომო", „ემპოლი", „მოდენა", „პერუჯა" და „პიაჩენცა" — ტელეტრანსლაციებზე შემოსავლის 50-პროცენტიანი მომატებით დააპურა. თუმცა „კომოს" პრეზიდენტმა მაინც უკმაყოფილება გამოთქვა ამის თაობაზე: „იუვენტუსი" 60 მილიონ ევროს ღებულობს თავისი თამაშის ტრანსლირებისთვის, ჩვენ კი ამისთვის მხოლოდ 5,7 მილიონი ევრო გვაკმარეს. ამის შემდეგ შთაბეჭდილება მექმნება, რომ ჩვენ სერია A-ში კი არა, რანგით უფრო დაბალ ლიგაში გამოვდივართო.

ფრანკო კარარო სერია A-ს კლუბების პრეზიდენტებს შეხვდა და მკაცრად გააფრთხილა, სასწრაფოდ გადაიხადეთ ყველანაირი დავალიანება და თქვენი გუნდების მომავალზე იფიქრეთ, თორემ „ფიორენტინასავით" შავად წაგივათ საქმეო.

„ჩემპიონატის საორგანიზაციო საკითხებში შეცდომები თვალსაჩინოა, მაგრამ პროგრესი უკვე შეიმჩნევა და ჭმუნვის დრო დასრულდა" — თქვა ჟურნალისტებთან საუბარში კარარომ. რაც შეეხება სახელმწიფო ტელევიზია რაი-სთან კონტრაქტის გაფორმებას, აქ საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტი ადრიანო გალიანი ცდილობს საქმის მოგვარებას. „ვაპირებ, სპორტისა და კულტურის მინისტრ ჯულიანო ურბანის შევხვდე, რათა სახელმწიფო ტელევიზიასთან მოლაპარაკებაში დაგვეხმაროს" — თქვა გალიანიმ.

**ზურაბ რუხაძე**ილი


# რესტორანი მზიანი ღამე






## განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით

დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

## კ უ ტ უ ზ ო ვ ი ს ქუჩა №3

(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. VII ტური** | | | | | | |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 033 | უოტფორდი-უოლსოლი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 17.00 | 034 | როტერჰემი-რედინგი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 036 | უიმბლდონი-ლესტერი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 037 | დერბი-ბარნლი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 038 | დერბი-ბარნლი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 19.00 | 039 | ჯილინგემი-პორტსმუთი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 19.00 | 040 | მილუოლი-ბრაიტონი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| 19.00 | 041 | ნორვიჩი-შეფილდი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| | | **8 სექტემბერი** | | | | | | |
| 17.05 | 042 | ვულვერჰემპტონი-პრესტონი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,12 | 1,29 | 2,21 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. VII ტური** | | | | | | |
| | | **6 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 043 | ბრისტოლი-ნორთჰემპტონი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 045 | მენსფილდი-ქუინზ პარკი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 17.30 | 046 | სუინდონი-პორტ ვეილი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 18.00 | 047 | კოლჩესტერი-ჩელტენემი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 18.00 | 048 | უიგანი-უაკომბი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 049 | ბლეკპული-ტრანმერი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 050 | ბრენტფორდი-ლუტონი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 19.00 | 051 | ქროუ-ჩესტერფილდი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 19.00 | 052 | ჰადერსფილდი-ბარნსლი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 053 | ნოტსი-ოლდემი | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. VII ტური** | | | | | | |
| | | **6 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 054 | დარლინგტონი-რექსემი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 23.45 | 055 | ბერი-იორკი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 23.45 | 056 | კარლაილი-როჩდეილი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 057 | კიდერმინსტერი-ბოსტონი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,26 | 1,78 |
| 18.00 | 058 | ლინკოლნი-სკანთორპი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 059 | კემბრიჯი-ჰალი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 19.00 | 060 | ექსეტერი-ბორნმუთი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 062 | ოქსფორდი-ტორკი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 063 | რაშდენი-საუთენდი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 19.00 | 064 | შრიუსბერი-ლეიტონი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 065 | სუონსი-ჰარტლპული | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| | | **8 სექტემბერი** | | | | | | |
| 17.05 | 061 | მაკლსფილდი-როვერსი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. VI ტური** | | | | | | |
| | | **5 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 075 | ლე მანი-მეცი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| | | **პორტუგალია. II დივიზიონი. გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **8 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 121 | ლეცა-შავეში | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **8 სექტემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 076 | სპარტა-სიტარდი | 2,0 | 3,3 | 3,3 | 1,24 | 1,24 | 1,65 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ბელგია. II დივიზიონი. IV ტური** | | | | | | |
| | | **6 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 077 | გეელი-ინგელმუნსტერი | 2,5 | 3,0 | 2,6 | 1,36 | 1,27 | 1,39 |
| 18.00 | 078 | ჰეუსდენი-პატრო | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 079 | ჰეუსდენი-პატრო 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **8 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 080 | დაინცე-სტრომბეკი | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 |
| 18.00 | 081 | რუსელარე-ვიგორი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 18.00 | 082 | დესელი-ტინენი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 18.00 | 083 | ეუპენი-ვარეგემი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 18.00 | 084 | დენდერლეუ-რონსე | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 18.00 | 085 | ლიეჟი-სერკლი | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 |
| 18.00 | 086 | ვირტონი-ვიზეტი | 2,5 | 2,9 | 2,7 | 1,34 | 1,29 | 1,39 |
| | | **შოტლანდია. ლიგის თასი. 1-ლი ეტაპი.** | | | | | | |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 089 | ალბიონი-ჰამილტონი | 3,4 | 3,4 | 1,9 | 1,7 | 1,21 | 1,21 |
| 17.00 | 090 | მორტონი-სენტ მირენი | 3,6 | 3,4 | 1,8 | 1,74 | 1,19 | 1,17 |
| 17.00 | 091 | ქუინზ პარკი-ისტ სტირლინგი | 1,85 | 3,4 | 3,5 | 1,19 | 1,21 | 1,72 |
| 18.00 | 092 | ბერიკი-არბროთი | 2,4 | 3,3 | 2,5 | 1,38 | 1,22 | 1,42 |
| 19.00 | 093 | ერდრი-ელგინი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 19.00 | 094 | გრეტნა-ისტ ფაიფი | 2,2 | 3,4 | 2,8 | 1,33 | 1,23 | 1,53 |
| 19.00 | 095 | ქუინი-ფორფარი | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,07 | 1,16 | 2,21 |
| 19.00 | 096 | სტრანრარი-ბრეჩინი | 2,3 | 3,4 | 2,6 | 1,37 | 1,22 | 1,47 |
| | | **2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტური** | | | | | | |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 097 | ნორვეგია-დანია | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 098 | ფარერის კ-ბი-შოტლანდია | 6,5 | 3,6 | 1,45 | 2,31 | 1,18 | 1,03 |
| 19.00 | 099 | რუსეთი-ირლანდია | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 20.00 | 100 | ავსტრია-მოლდავეთი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| 20.00 | 101 | სომხეთი-უკრაინა | 4,4 | 3,2 | 1,7 | 1,85 | 1,22 | 1,11 |
| 21.00 | 102 | ხორვატია-ესტონეთი | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| 21.00 | 103 | ფინეთი-უელსი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 22.00 | 104 | ლატვია-შვედეთი | 7,0 | 3,8 | 1,4 | 2,46 | 1,16 | 1,02 |
| 22.30 | 105 | კვიპროსი-საფრანგეთი . | 9,0 | 5,0 | 1,25 | 3,21 | 1,09 | 1 |
| 22.30 | 106 | ლიტვა-გერმანია | 9,0 | 5,0 | 1,25 | 3,21 | 1,09 | 1 |
| 22.30 | 107 | თურქეთი-სლოვაკეთი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 23.00 | 108 | სან მარინო-პოლონეთი | 18,0 | 9,0 | 1,03 | 6 | 1 | 1 |
| 23.00 | 109 | ბელგია-ბულგარეთი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 23.00 | 110 | აზერბაიჯანი-იტალია | 14,0 | 7,0 | 1,1 | 4,66 | 1,01 | 1 |
| 23.15 | 111 | სლოვენია-მალტა | 1,05 | 8,0 | 16,0 | 1 | 1 | 5,33 |
| 23.15 | 112 | ბოსნია-რუმინეთი | 3,4 | 3,2 | 2,0 | 1,64 | 1,25 | 1,23 |
| 23.30 | 113 | პოლანდია-ბელარუსი | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| 23.45 | 114 | საბერძნეთი-ესპანეთი | 3,3 | 3,1 | 2,1 | 1,59 | 1,28 | 1,25 |
| | | **8 სექტემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 115 | შვეიცარია-საქართველო | | | | ანგარიში – 5,0 | | |
| 20.00 | 116 | ლიხტენშტეინი-მაკედონია | 9,0 | 5,0 | 1,25 | 3,21 | 1,09 | 1 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **5 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 117 | ლუქსემბურგი-ისრაელი | 9,0 | 5,0 | 1,25 | 3,21 | 1,09 | 1 |
| | | **6 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 118 | ჩეხეთი-იუგოსლავია | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,26 | 1,78 |
| | | **7 სექტემბეტი.** | | | | | | |
| 20.00 | 119 | ინგლისი-პორტუგალია | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,26 | 1,78 |
| 23.00 | 120 | ისლანდია-უნგრეთი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

**გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო**
**ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48**

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# კროკოს ბიუროთა მისამართები

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, Iა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

ხვალიდან საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირისთვის მზადების ბოლო ეტაპს იწყებს. საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ბორჯღალოსნები დღეს საფრანგეთში გაფრინდებიან და იქ ლეგიონერებს შეუერთდებიან. 10-დღიან შეკრებაზე 31 მორაგბეა გამოძახებული

# მეგობრობა 24-საათიანია

## ფრთხილად: დათვი დაჭრილია!

**ჩვენი,** სამგუნდა ჯგუფის შესარჩევი ტურნირი 28 სექტემბერს იწყება. ბორჯღალოსნები პირველ მატჩს დუბლინში ირლანდიასთან გამართავენ, 13 ოქტომბერს კი რუსებს უმასპინძლებენ.

ამასთან დაკავშირებით რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ პრესკონფერენცია გამართა.

***გია ჭუმბურიძე, საქართველოს ნაკრების მენეჯერი:*** მაქსიმალურად ვცდილობთ, ნაკრები შეძლებისდაგვარად კარგად მოვამზადოთ. ახლაც 31-კაციანი შემადგენლობა საფრანგეთში შეიკრიბება. ამათგან შეირჩევა ის 27 მორაგბე, რომელთაც კლოდ სორელი ირლანდიასთან და რუსეთთან სათამაშოდ გამოიძახებს. შეკრება 26 სექტემბერს დასრულდება. 27-ში დუბლინში ჩავფრინდებით. ირლანდიასთან მატჩის შემდეგ იგივე შემადგენლობა საფრანგეთში დაბრუნდება, სადაც სარუსეთოდ კიდევ გაივლის 10-დღიან შეკრებას. ბიჭები თბილისში 7 ოქტომბერს ჩამოვლენ. მეორე დღესვე ნაკრები მკაცრ რეჟიმზე გადავა და რუსებთან გასამართი მატჩისთვის განსაკუთრებული რეჟიმით მოემზადება.

***ბიძინა გეგიძე, რაგბის კავშირის პრეზიდენტი:*** არის სავარჯიშო მოედნების პრობლემა. ახლა სავარჯიშოდ ვარგისი მოედნის შესარჩევად ვმუშაობთ. ნაკრები, ალბათ, ქალაქგარეთ დაბინავდება. შესაძლოა, მცხეთაშიც, ზუსტად ჯერ არ ვიცით, ოღონდ აუცილებლად თბილისთან ახლოს.

— რაც აქამდე შეკრებები მოეწყო, სულ ჩვენი ხარჯით. შესარჩევი ტურნირის დაწყებამდე ორიოდ კვირა რჩება, მთავრობისგან კი არაფერი ისმის. რუსებს რომ მოვუგებთ, მერე ყველა ჩვენი ერთგული და ქომაგი გახდება. მანამდე ჩვენი მომკითხავი არავინაა.

***გია ჭუმბურიძე:*** აგვისტოში, ნაკრების ისტორიაში პირველად, ბათუმში მოეწყო გრძელვადიანი და საკმაოდ მასშტაბური შეკრება. ერთი კვირა ბიჭები აჭარის მაღალმთიანეთში იყვნენ და ფიზიკურ კონდიციებს იმაღლებდნენ. აქცენტი ფიზიკურ გამძლეობაზე გაკეთდა. თანაც ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში ბევრი ახალბედაა და მათი ძველ გვარდიასთან დაახლოება იყო საჭირო. მერე ბათუმში გავაგრძელეთ შეკრება. ნაკრები დღეში ორჯერ ვარჯიშობდა და ტაქტიკაც დაიხვეწა. ამის შემდეგ საფრანგეთში რამდენიმე შეკრება და 5 ამხანაგური მატჩიც მოეწყო ფრანგულ კლუბებთან. ახლანდელ შეკრებაზე რაიმე ტურნირებში მონაწილეობა და სპარინგ-მატჩების გამართვა არ არის დაგეგმილი.

... ამას წინათ ვესაუბრე რუსეთის რაგბის კავშირის ერთ-ერთ ხელმძღვანელს. მითხრა, რომ რუსეთში ახლა რაგბის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას. თუ რუსები მსოფლიოს თასზე ვერ მოხვდებიან, ეს მათთვის ტრაგედია იქნება და დაფინანსებაც შეუწყდებათ. ამიტომ ისინი კოლოსალურ ფულს ხარჯავენ, რათა ნაკრები მაქსიმალურად მოამზადონ. აქ ისეთ თანხებზეა ლაპარაკი, ჩვენ არც დაგვესიზმრება. კრასნოარსკში ჩაიყვანეს სამხრეთაფრიკული კლუბი. გარდა ამისა, იმავე სამხრეთ აფრიკასა და საფრანგეთში აწყობენ შეკრებებს. ეროვნული ჩემპიონატის კალენდარიც შეცვალეს, რათა ნაკრების თამაშებთან შეწყობილიყო.

***ბიძინა გეგიძე:*** შესარჩევი ტურნირის დაწყების წინ ერთადერთი პრობლემა გვაქვს — ისევ და ისევ უფულობა. აქამდე რაღაცნაირად ვახერხებდით თავის გატანას, ახლა უკვე კატასტროფის წინაშე ვდგავართ. ნაკრები თბილისში რომ ჩამოვა და სარუსეთოდ დაიწყებს მზადებას, მაშინ მაინც მიხედონ. ბიჭები კბილებს ილესავენ, მათ ელემენტარული ყურადღება და გვერდში დგომა სჭირდებათ.

პრესკონფერენციის დასასრულს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ შეკრებაზე გამოძახებულთა 31-კაციანი სია გადმოგვცა. ნაკრების მწვრთნელმა კლოდ სორელმა ეს მორაგბეები შეარჩია:

*მევლუდ მთიულიშვილი (ბეზიე), ლევან ცაბაძე (მონფერანი), ტარიელ რატიანიძე (ბეზიე), გოდერძი შველიძე (ბეზიე), სოსო ნიკოლაენკო (რუმია), აქვსენტი გიორგაძე (როვიგო), ვიქტორ დიდებულიძე (ფიზუკი), ვანო ნადირაძე (ბეზიე), ზურაბ მჭედლიშვილი (ალბი), სერგო გუჯარაძე (ლონსლონიე), მამუკა გორგოძე (ორბელი-ლელო), დავით ბოლღაშვილი (უგუნდო), ირაკლი გუნდიშვილი (უნივერსიტეტი), გიორგი ჩხაიძე (ლა როშელი), ილია ზედგინიძე (როვიგო), გია ლაბაძე (ტულონი), ზვიად მათიაშვილი (კანი), ირაკლი აბუსერიძე (ორიაკი), გუჯა იოვაძე (აგდი), მერაბ კვირიკაშვილი (ორბელი-ლელო), პალიკო ჯიმშელაძე (ორიაკი), ოთარ ბარკალაია (ორბელი-ლელო), ლაშა ფირფილაშვილი (ორბელი-ლელო), თედო ზიბზიბაძე (ტური), ვასილ კაკაძე (გრენობლი), კახა ალანია (ლოკომოტივი), გიორგი ელიზბარაშვილი (აკადემია), ბადრი ხეხელაშვილი (ანგულემი), მალხაზ ურჯუკაშვილი (ტური), ვასილ აბაშიძე (ლოკომოტივი), ბესიკ ხამაშურიძე (ოში)*

**ბაჩო სვანიძე**



ბიძინა გეგიძე და გია ჭუმბურიძე გუშინდელ პრესკონფერენციაზე





*აი, ახალი ამბავი — „დენვერის" თავკაცობა თბილისში ჩამოსვლას და ქართველი კალათბურთელებისთვის საწვრთნელი შეკრების მოწყობას გეგმავს... „დენვერის" მწვრთნელ ჯეფ ბზდელიკს და მის ახალდანიშნულ ასისტენტს, ლეგენდარულ კლაიდ დრექსლერს ნიკა ცქიტიშვილისთვის მშობლიურ თბილისში საჩვენებელი ვარჯიშის მოწყობა შეუთავაზებიათ, რომელშიც ჩვენებურებიც მიიღებენ მონაწილეობას. ეს ამბავი მომავალი წლისთვის გადაიდო, რადგან ნბა სეზონის ზღურბლზეა, თანაც ნიკა ცქიტიშვილს რომ დაეკითხნენ, ერთი სეზონი დამაცადეთ, „დენვერში" ფეხს მოვიკიდებ და მერე იყოსო — მიიღეს პასუხად*

# ნიკ, მოვაწყოთ თბილისში კემპი

## დრექსლერმა და ბზდელიკმა ცქიტიშვილი საქართველოში დაპატიჟეს

**და თუ** როგორ ავარჯიშებენ შეგირდებს ეს მწვრთნელები, ნიკამ კარგად უწყის. გგონიათ, ალმოსავლური ორთაბრძოლებს მხოლოდ ამ სფეროს ხალხი მისდევს? ჯეფ ბზდელიკი კარატეს, იოგასა და მისთანებში ახელოვნებს დენვერელებს, ამბობს, მოქნილობისა და ორიენტაცია-კოორდინაციისთვის პირველი წამალიაო. ვარჯიშებზე სულ „სენ სეის" და „იჩ, ნი, სანს" გავიძახით, მალე ალბათ, ჩინურსაც ვისწავლით — გვაუწყა ნიკა ცქიტიშვილმა დენვერიდან. საუბარი მსოფლიოს ჩემპიონატით დავიწყეთ.

**— ვის გულშემატკივრობ?**

— არავის, რადგან თამაშების ყურების დრო არ მრჩება, თითქმის მთელი დღე ვვარჯიშობ.

**— როგორ, მწვრთნელები მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებისას შელავათს არ გაძლევენ, ბოლოს და ბოლოს ისინი მაინც არ ადევნებენ თვალ-ყურს ინდიანაპოლისურ ამბებს?**

— სურთ კი არა, მსოფლიოს ჩემპიონატი თუ მიმდინარეობს, არც იგრძნობა. ამის გამო აქ ვარჯიშის გრაფიკს არავინ შეცვლის, მოკლედ, მსოფლიოს ჩემპიონატი არავის აინტერესებს... ისე, ერთხელ ვიღაცამ თქვა, დღეს კარგი მატჩია და დროზე მოვრჩეთო, მგონი, იუგოსლავია თამაშობდა, მაგრამ ყური არავინ ათხოვა.

**— შედეგებს ხომ მაინც გებულობთ?**

— აბა, მთლად ჭურში კი არ ვზივართ.

**— ჩინეთი-ამერიკისას გაიგებდით, იაო მინგისა და შენს თანაგუნდელ მენკე ბატერის წყალობით ჩინელებმა პირველი მეოთხედი 12 ქულით მოიგეს, ტაიმი კი მხოლოდ ქულით დათმეს. ეს ის ჩინეთია, „დენვერის" ახალბედებმა ამას წინათ რომ მოუგეთ...**

— ამერიკელთათვის მთავარი საბოლოო შედეგია და არა პირველი ნახევრის, ან თუნდაც ტაიმის ანგარიში. გერმანელებთან რა, ეგრე არ იყო, ამერიკელებს მესამე მეოთხედის ბოლომდე უჭირდათ, მაგრამ დიდი სხვაობით გაიმარჯვეს. ევროპელებს და სხვებსაც ფიზიკური მომზადება აკლიათ, ამერიკელები კი ბოლოსკენ იწყებენ ნაღდ თამაშს. ჩინელებთანაც დასაწყისში თავი არ მოიკლეს.

**— ჩინელებს რომ ეთამაშებოდით, დენვერელ ახალბედების ნაცვლად გვერდში სტეფანია, ნაცვლიშვილი, ფაჩულია... მოკლედ, საქართველოს ნაკრების წევრები რომ გყოლოდა, მაინც გაიმარჯვებდით?**

— ეგენი, არაფრით ჩამოუვარდებიან „დენვერის" ახალბედებს, ოღონდ ეგაა, გამთამაშებელი არ დაასახელე, მაღალი დონის არავინაა და იმიტომ. ქართველებს რომ ამ პოზიციაზე მოთამაშის პრობლემა გვაქვს, ცნობილია, აქაურები კი ბურთს ხელის გულზე მისვამენ. ასე რომ, ჩემი აზრით, ჩინელებთან წავაგებდით და სწორედ გამთამაშებლის გამო.

**— ჩვენს ნაკრებზე საუბრის დროც მოვა, ახლა კი „დენვერზე" გკითხავ: ვინმე ხომ არ შემოგემატათ?**

— არა, ისევ ახალბედები ვვარჯიშობთ. ჩვენ მწვრთნელის ბზდელიკის ორიახალი ასისტენტი ჰყავს — ჰყავს ჯორჯ მაკლაუდი „დენვერში" თამაშობდა ბოლო წლებში, წარსულში ცნობილი კალათბურთელი კლაიდ დრექსლერი კი ამ დღეებში დანიშნეს.

**— ალბათ, შანსი ხელიდან არ გაუშვი და უკვე გაიცანი...**

— რა თქმა უნდა. ბრწყინვალე პიროვნებაა, სულ ხუმრობისა და სიცილის ხასიათზეა, ყველას უცებ დაგვიმეგობრდა.

**— ისევ ისეთი დატვირთვით ვარჯიშობ? ბოლოს რომ გელაპარაკე, გადაღლილი იყავი...**

— მას მერე უნდა გენახა, რა დღეში ვიყავით. გადაბმულად 5 საათი ვვარჯიშობდით, 12-დან 5 საათამდე. ჯერ დავრბოდით, მერე აუზში ვინაცვლებდით, სადაც გაწელვითი ვარჯიშები გვქონდა, შემდეგ ტრენაჟორები და იოგა. კარატეშიც გვამეცადინებდნენ. ასე ფიქრობს ბზდელიკი, რეაქციასა და სხვა კომპონენტებს ავითარებსო.

**— ჩინეთის ნაკრების მწვრთნელმა ხომ არ ასწავლა?**

— სწორედ მათი სტუმრობის მერე დაიწყო და იქნებ ეგრეც იყოს. მოკლედ, მოსვენება არ გვქონდა.

**— აბა, მსოფლიოს ჩემპიონატის ყურების დრო საიდანღა გექნებოდა...**

— პირველ დღეებში არა, მაგრამ ეს ბოლო სამი დღე დაგვასვენეს, ინტენსიურმა ვარჯიშებმა საშინლად მოგვქანცა. თუმც ტელევიზორისთვის მაინც ვერ მოვიცალე, ბინის საშოვნელად დავდიოდი, ცალკე მინდა გადასვლა.

**— მერე, შეარჩიე?**

— კი, მაგრამ, ალბათ, ვიქირავებ, არ მინდა, ვიჩქარო. შევხედავ, როგორი სეზონი მექნება, „დენვერში" თუ ფეხი მოვიკიდე, ვიყიდი. ვაიდა, სხვა გუნდში მომიწიოს გადასვლამ, მერე?

**— „დენვერი" არ დაგეხმარა ბინის მოძებნაში?**

— „დენვერი" არა, მაგრამ ერთი ქართველი კი. ნიკა ჩხეიძე ყოფილი კალათბურთელია, საქართველოს ჩემპიონატშიც უთამაშია „გეორგიკას" შემადგენლობაში და ექვსი წელია, დენვერში ცხოვრობს, აქაურობა ზეპირად იცის. ის დამყვებოდა და მეხმარებოდა სახლის პატრონებთან ურთიერთობაში.

**— ფეხით არ ივლიდით...**

— მანქანა რომც მყოლოდა, მაინც ტაქსით ვივლიდი, რადგან დენვერის ქუჩების ბაიბურში არ ვარ. ამიტომაც გადავწყვიტე ისეთი მანქანის შეძენა, ქალაქის ცოდნა რომ არ დამჭირდება.

**— ეგ როგორ?**

— ნავიგაციური სისტემა ექნება და რომ დაავპროგრამებ, აქა და აქ მივდივარო, კომპიუტერი მიკარნახებს გზას... „ლინკოლნ ნავიგატორის" ბოლო, 2003 წლის მოდელია და ჯერ არაა სერიულად გამოშვებული. დენვერში სულ ოთხს ჰყავს და მალე მეც მეყოლება, შეკვეთა უკვე მივეცი.

**— მერე მაგ მანქანით, ალბათ, სტეფანიასაც ეწვევი, ამას წინათ თქვი მაიამიში დამპატიჟაო...**

— ვოვამ მას მერე კიდევ დამირეკა, ჩამოდი, კარგ დროს გავატარებთო, ალბათ, მოენატრა თავისიანები.

**— შენც მოგენატრებოდა, ორი წელი სრულდება, საქართველოში არ ყოფილხარ.**

— მართლაც ეგრეა, მანდაურობა ძალიან მომენატრა. მომავალ ზაფხულს აუცილებლად ჩამოვალ, თან მარტო არ ვიქნები „დენვერის" მწვრთნელები ჩამომყვებიან. ერთად. ბზდელიკმა თავად შემომთავაზა, შენს ქვეყანაში საწვრთნელი კემპი მოვაწყოთო. ეს აზრი დრექსლერსაც მოეწონა და სექტემბერშივე ვაპირებდით წამოსვლას, მაგრამ მომავალი წლისთვის გადავდეთ. მალე ნბას სეზონი დაიწყება და კლუბის ხელმძღვანელობას ეგებ არც მოსწონებოდა.

**— ეგ კარგი აზრია, ქართულ კალათბურთს ძვირფას საჩუქარს გაუკეთებ...**

— რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული, ყველაფერს ვიღონებ, რომ ეს კემპი მოეწყოს. თუ მაინც რამემ შეგვიშალა ხელი, მომავალ ზაფხულს 10 ქართველ კალათბურთელს ჩამოვიყვან აქ და „დენვერის" მწვრთნელებთან ერთად ვავარჯიშებ.

**— ხელი რამ უნდა შეგიშალოს?**

— მაგაზე ლაპარაკი არც მინდა, მაგრამ ვაიდა „დენვერში" საქმე არ ამეწყოს, ჩემთვის ვილა მოიცლის? სხვათა შორის, ამ კემპის წლეულს არ მოწყობის ერთ-ერთი მიზეზიც ის იყო, რომ მინდოდა, ახალ გუნდში ჩემი სიტყვა მეთქვა და სხვა რამეზე მერელა მეზრუნა.

**— ალბათ, იტყვი კიდეც შენს სიტყვას...**

— დიდი იმედი მაქვს.

**ირაკლი ბერტაია**

WE ARE THE WORLDS!

მსოფლიოს ჩემპიონატი. ინდიანაპოლისი (აშშ)
29 აგვისტო – 8 სექტემბერი

# არგენტინა ხელითაც არგენტინაა



რა გვიყო პუერტო რიკომ!!! გაოგნებულია ლუსიო ანგულო და მთელი ესპანეთი

REUTERS

## E ჯგუფი

თურქეთი • ესპანეთი • პუერტო რიკო
ანგოლა • ბრაზილია • იუგოსლავია

**პუერტო რიკო 73:65 ესპანეთი**
**პუერტო რიკო:** აროიო (18), ლეტიმერი (18)
**ესპანეთი:** გასოლი (16), ნავარო (11)

**იუგოსლავია 90:69 ბრაზილია**
**იუგოსლავია:** სტოიაკოვიჩი (19), გუროვიჩი (15), ბოდიროგა (10)
**ბრაზილია:** მაჩადო (15), სვარეტაო (12), პლაზა (11)

**თურქეთი 86:66 ანგოლა**
**თურქეთი:** თურქეგანი (26 ქულა, 11 მოხსნა), ქუთლუაი (23), ოქური (17)
**ანგოლა:** ლუტონდა (16), ე. ვიქტორიანო (12), მონტეირო (11)

პუერტორიკოელები ვიღაც ტაკიმასხარები რომ არ იყვნენ, ეს არც ჩემპიონატის დაწყებამდე იყო საიდუმლო, მაგრამ ცოტა თუ ელოდა დაქცეული კარიბული კუნძულის მკვიდრთა ასე სვლას.

ხოსე ორტისმა და კომპანიამ ყველა ევროპელი შემხვედრი მოინელეს და პირველ წრეში გაბლენძილ თურქეთს მეორეში ყოჩაღი ევროპელები — იუგოსლავია და მერე დაუმარცხებელი ესპანეთი მიაყოლეს. ანგოლასთან დარჩენილ თამაშს ცენტრალურამერიკელები უეჭველად მოიგებენ და იქნებ E ჯგუფში პირველობას გამოჰკრან ხელი, რაც მეოთხედფინალში ვინმე სუსს შეახვედრებთ.

ისევე როგორც წინა ტურში იუგოსლავიასთან, პუერტოელებს ესპანელებთანაც დრო დასჭირდათ, რათა საკუთარი ძლიერება ბოლომდე შეეგრძნოთ და პირველ ტაიმში მეტოქეს დაუთმეს უპირატესობა. მათი ჩაუქი გამთამაშებელი ელიას აიუსო ევროპელთა ცქვიტ უკანახაზელ ხუან კარლოს ნავაროს კლანჭებში იტანჯებოდა და ტაიმი ისე გავიდა, თავისიანებს კინკილა ქულის მეტი ვერაფერი მიახმარა, ამ დროს კი ესპანელთა ნბა-ელი აზმახი პაუ გასოლი კუნძულელთა ფარქვეშეთს პყრობდა და მისი 11 ქულის წყალობით პირინეელებმა ტაიმი 33:31 მოიგეს.

პუერტოელები დროულად გადაეწყვნენ. ესპანელთა ნბა-ელი მზეჭაბუკის პაუ გასოლის გაუვნებლება დაცვის ზონური პრინციპით სცადეს და მოახერხეს. მათმა ცენტრებმა — მოხუცმა ორტისმა და დევკაცმა სანტიაგომ შეტევაზე ხელი აიღეს და მთელი თავიანთი ძალები გასოლისკენ მიმართეს. 213-სანტიმეტრიან მემფისელს ქულების დაგროვება გაუჭირდა და შედეგად ესპანელებს შეტევაში საქმე აერიათ.

ამ დროს პუერტოელთა ნახევარზე საფუძველჩაყრილ გამარჯვებას აიუსო და მისი დამქაშები მოედნის საპირისპირო ნახევარზე ამყარებდნენ. აიუსოს არც დიდი შესვენების შემდეგ ამოუქრევია ესპანელთა კალათიდან ბლომად ქულები, მაგრამ ნიკა ცქიტიშვილის „დენვერიდან" სულ ახლახან გამოგდებულ კარლოს აროიოსთან ერთად ესპანელების ფარის სიახლოვეს მათთვის საშიში წესრიგი დაამყარა. ამ სურათს კარგად შეერწყა კუნძულელთა სათადარიგო მობურთალი ანტონიო ლეტიმერი, ვინაც თავისი 18 ქულის მეტი წილი მეორე ნახევარში უთავაზა ინერციით მობურთალ ესპანელებს.

ყველაფერი ბოლო წუთებში გადაწყდა. ესპანელებისგან განსხვავებით, ლეტიმერმა და აროიომ გადამწყვეტი სროლები არ გაფლანგეს და მეტოქე ჩემპიონატზე პირველი მარცხით დაზურგეს.

ასევე პირველად დათმო შეხვედრა ბრაზილიის ენერგიულმა, თუმც საშუალო ან ცოტა უკეთესმა გუნდმა. ჯგუფური ეტაპის ბოლოსწინა შეხვედრაში იუგოსლავიელებს მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდათ. ჰოდა, როცა „კვერცხი მოადგათ", მაშინ გამოაჩინეს, რა შეუძლიათ. იუგოსლავიამ ტურნირზე საუკეთესო თამაში ჩაატარა და ბრაზილიელებმა უკვე პირველ მეოთხედში მოუხარეს ქედი ევროპელთა კლასს. იუგოსლავიას კიდევ ერთი გენერალური ბრძოლა აქვს მოსაგები. სლავთა წინ გაბითურებული, მაგრამ მაინც ჩხვლეტია თურქები აღმართულან, რომელთა ძლევა მეოთხედფინალისკენ გაუკაფავს გზას, ხოლო დამარცხება ჯგუფში ჩატოვებს და საშვილიშვილოდ მოსჭრის თავს.

რაც შეეხება ჯგუფის მესამე თამაშს, იქ ყველაფერი მოლოდინისამებრ დამთავრდა. ინდიანაპოლისის ცარიელი ტრიბუნების წინ სწორედ თურქულად, ერთნიანად ყვითელი თმა-წვერით გამოცხადებულმა და ყველა პრინციპული მატჩის წამგებმა თურქებმა შავშავი ანგოლელები მოინელეს. „ყოჩაღ" მაგათ.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 4 | 3 | 1 | + 50 | 7 |
| პუერტო რიკო | 4 | 3 | 1 | + 9 | 7 |
| ბრაზილია | 4 | 3 | 1 | - 10 | 7 |
| იუგოსლავია | 4 | 2 | 2 | + 67 | 6 |
| თურქეთი | 4 | 1 | 3 | - 7 | 5 |
| ანგოლა | 4 | 0 | 4 | - 108 | 4 |

## F ჯგუფი

არგენტინა • გერმანია • რუსეთი
აშშ • ახალი ზელანდია • ჩინეთი



REUTERS

გოლიათი დირკ ნოვიცკი დიდი კალათბურთელიცაა, მაგრამ გერმანიას მარტო ვერ ზიდავს

**არგენტინა 86:77 გერმანია**
**არგენტინა:** ნოჩიონი (19, სკონოჩინი (16), ჯინობილი (12)
**გერმანია:** ნოვიცკი (21), ფემერლინგი (21)

**აშშ 110:62 ახალი ზელანდია**
**აშშ:** პირსი (20), ფინლი (20), მარიონი (16)
**ახალი ზელანდია:** პენი (16), კემერონი (13), ჯონსი (11)

**რუსეთი 95:68 ჩინეთი**
**რუსეთი:** კარასიოვი (21), მორგუნოვი (18), კუდელინი (17)
**ჩინეთი:** მენკე (18), იაო (13), ვეიდონგი (11)

თუკი E ჯგუფში ოთხი-ხუთი თანაბრად ძლიერი გუნდი შეყრილა და დღე არ გავა, მათ ერთმანეთს სისხლი არ გაუშრონ, E ჯგუფში ყველაფერი პირიქითაა. აქ ორი მართლა კარგი გუნდი ნებივრობს და რაკი ისინი ერთმანეთს ჯერ არ შეხვედრიან, ორივე უძლეველია. ერთი მათგანის ვინაობას დაუსახელებლადაც მიხვდებით, მეორე კი ამ ბოლო წლებში წამოჩიტული არგენტინაა, რომელიც მსოფლიოს მე-14 ჩემპიონატს მრისხანე ფავორიტად მოევლინა და თვით ამერიკელებზეც კი ილესავს კბილებს. ეს ორი დღეს გამთენიისას შეხვდა ერთმანეთს და ამ მატჩის ანგარიშს ვერ გაახლებთ, მაგრამ ვთქვათ ის, რომ ნბა-ში გადასაბარგებლად გამზადებულმა ჩაუქმა არგენტინელმა მანუ ჯინობილიმ თავის მომავალ თანალიგელებს მუშტი მოუღერა: „ჩვენ გუნდი ვართ და ამაშია ჩვენი სიძლიერე. ისინი შეთამაშებულები არ არიან და ამაშია მათი სისუსტე. შეუძლებელი არაფერია და არც ამერიკელთა დამარცხება".

ამერიკასთან შეხვედრამდე ჯინობილიმ და მისმა რაზმმა გერმანია ამხილეს, როგორც მხოლოდ ერთი კაცის გუნდი და მეტი არაფერი. დირკ ნოვიცკი იქნებ მსოფლიოს ჩემპიონატზე მობურთალთაგან საუკეთესო კალათბურთელი იყოს და ვინძლო თორმეტივე ამერიკელსაც სჯობდეს, მაგრამ მარტოკაცია და ყველა თამაშს ვერ მოაგებინებს მხოლოდ მისი ოქროს ხელების იმედად მყოფ გერმანელებს.

ნოვიცკიმ ახლაც რიგიანად იბურთავა, მაგრამ რაკი არგენტინელებმა მეურვეები „ხელებზე" დაასვეს, ზომიერად და არა უსაშველოდ ბევრი — 21 ქულა გაუხერხა გერმანელებს (სიმართლე ვთქვათ და, იმ გუნდში ჭეშმარიტი გერმანელებისგან ერთი ხუთეული ვერ შედგება), მაგრამ მისგან ცოტა მეტს შეჩვეულ ევროპელებს ეს ვერ ეყოთ.

არგენტინელებმა პირველი ხუთი წუთი აცალეს გერმანელებს და 15:15 ანგარიშიდან აიწყვიტეს. ჯინობილისა და სკონოჩინის განსაკუთრებული თავგამოდების საჭიროება არც იყო, ქულების დაგროვება სათადარიგო ფორვარდმა, ანდრეს ნოჩიონიმ იკისრა და მოკლე მონაკვეთი 11:0 მოაგებინა თავისიანთ. არგენტინა შესვენებაზე 10-ქულიანი უპირატესობით წავიდა და მერე ამ სხვაობას ცოტაც მოუმატა. გერმანელებმა მატჩის ბოლო წუთებში გაიფაფხურეს, როცა სხვაობა ხუთ ქულამდე შემცირდა, მაგრამ რა შეატყვეს, მეტოქე კატათაგვობანას გვეთამაშება და როცა მოისურვებს, მაშინ გაგვექცევაო, ნაპერწკალი მოაკლდათ.

„ესაა ყველაზე უკეთ დამცველი გუნდი, ვისაც კი ჩვენ შევხვედრივართ — თქვა გერმანელთა თავკაცმა ჰენრიკ დეტმანმა, არადა, მისი გუნდი აშშ-საც შეხვედრია — ისინი ძალიან სწრაფად და გააზრებულად გადაადგილდებიან მოედანზე. ნათელია, დღეს ჩვენ აშკარად უკეთეს გუნდთან წავაგეთ".

არგენტინა — აშშ-ს შორის მჯობნის გარკვევის გარდა ჯგუფში სხვა ინტრიგაც არსებობს. გერმანელებს მეოთხედფინალში გასვლაში ხელს ვერავინ შეუშლის, აი, ჯგუფის დანარჩენ სამ წევრს კი იქ მოხვედრის მეტნაკლებად თანაბარი შანსი აქვთ. გუშინწინ რუსებმა ჩინელებს მოუგეს და ახლა გერმანიასთან ბრძოლა დარჩენიათ. გადამწყვეტი იქნება ჩინეთისა და ახალ ზელანდიას შორის შეტაკების შედეგიც.

**ირაკლი ფირაშვილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 4 | 4 | 0 | +108 | 8 |
| არგენტინა | 4 | 4 | 0 | +69 | 8 |
| გერმანია | 4 | 2 | 2 | +6 | 6 |
| რუსეთი | 4 | 1 | 3 | -25 | 5 |
| ახ. ზელანდია | 4 | 1 | 3 | -86 | 5 |
| ჩინეთი | 4 | 0 | 4 | -80 | 4 |



REUTERS

ქარივით მოუხელთებელი ემანუელ ჯინობილის არგენტინის დამარცხება ვერც ახმახმა გერმანელებმა მოახერხეს

**მატჩი მე-13 ადგილისთვის**
**კანადა 98:97 ვენესუელა**
**კანადა:** ბარეტი (20), მიქსი (20), კარანგა (13)
**ვენესუელა:** დიასი (16), რომერო (16)

**მატჩი მე-15 ადგილისთვის**
**ალჟირი 100:70 ლიბანი**
**ალჟირი:** დუბალი (30), მეჰენაოუი (23), ბუჰედირი (20)
**ლიბანი:** ელ ხატიბი (22), ხური (16)

US OPEN 2002 ნიუ იორკი. ჰარდი. საპრიზო 16 174 200 $

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვაჟები**

**მეოთხე წრე**

**პიტ სამპრასი (17, აშშ) — ტომი ჰაასი (3, გერმანია) 7:5, 6:4, 6:7 (5:7), 7:5; ენდი როდიკი (11, აშშ) — ხუან იგნასიო ჩელა (26, არგენტინა) 5:7, 6:4, 6:4, 6:4; სხენგ შალკენი (24, ჰოლანდია) — გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) 6:3, 7:6 (8:6), 6:7 (5:7), 7:6 (7:4); ფერნანდო გონსალესი (28, ჩილე) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:4, 6:2, 6:3**

**ქალები**

**მეოთხე წრე**

**ვინუს უილიამსი (2, აშშ) — ჩანდა რუბინი (14, აშშ) 6:2, 4:6, 7:5; მონიკა სელეში (6, აშშ) — მარტინა ჰინგისი (9, შვეიცარია) 6:4, 6:2**

**მეოთხედფინალი**

**სერენა უილიამსი (1, აშშ) — დანიელა ჰანტუხოვა (11, სლოვაკეთი) 6:2, 6:2; ლინდსი დევენპორტი (4, აშშ) — ელენა ბოვინა (რუსეთი) 3:6, 6:0, 6:2**



პიტ სამპრასი

REUTERS ნიუ იორკიდან



ენდი როდიკი

# რუზეცკი ყეფს, სამპრასი მიდის

პიტ სამპრასს უკვე ორი წელია, ერთი ქეციანი ტიტულიც არ მოუგია. წლეულს იგი კარიერის ალბათ უსაშინლეს სეზონს თამაშობს. წინა წრეში მის მიერ ძლეულმა გრეგ რუზეცკიმ მას 90-იანი წლების სამპრასის ულიმლამო ლანდი უწოდა. ძალიან გამიკვირდება, მომდევნო მატჩში ტომი ჰაასის დამარცხებას თუ შეძლებსო...

ჰოდა, ახლა გიკვირდეს გრეგ! შენ ჰყეფ, პიტი კი მიდის.

და ეს ყველაფერი — მისი ორწლიანი ტიტულყაბზობაც, საამსეზონო ფიასკოებიც და შენი ნამატჩევ-ბოლმიანი ბჟუტურიც არარავლება იმასთან შედარებით, რომ ეს დიადი კაცის მე-200 სლემგამარჯვება იყო.

დიახ — გერმანელი ტომი ჰაასის ძლევა პიტისთვის საიუბილეო გამოდგა.

„ძალიან გრძელი ღამე იყო, მაგრამ დავილალე — ამბობდა მერე — მართალია, ჩემი სწორუპოვრობის ეპოქა დასრულდა, მაგრამ თავადაც ხედავთ, მაღალ დონეზე თამაში ჯერ კიდევ შემძლებია... გრეგის ნათქვამზე რა აზრის ვარ? აბა, რა გითხრათ, საერთოდ არ მაინტერესებს, რას ამბობს და რას ფიქრობს. ენერგია ეგეთ რამეებზეც რომ ვხარჯო, რა გამოვა. თუმცა, რაო, როგორ თქვა, ნახევარი ნაბიჯით აგვიანებსო, არა? საქმეც ეგაა, რომ მის წინააღმდეგ, აი, ეგრეც, ნახევარი ნაბიჯის დაგვიანებითაც ვიგებ“.

შეგახსენებთ, რომ პიტი რუზეცკის მეათედ შეხვდა და მეცხრე დამარცხება აგემა...

რაც შეეხება ჰაასთან იმ დღეს მოგებულ შეხვედრას, მისი ბედი აშშ-ის ღია პირველობის 4-გზის მაოხარის დიდებულმა მოწოდებებმა, რომელთაგან 27 გამჭოლი გახლდათ, და მეტოქის 36-ქულიანი დარტყმის წილ მის მიერ მოქუჩებულმა 82-ქულიანმა დარტყმამ განაპირობა.

დღეს პიტი იქითა პარასკევს გაოცწლისებულ თვისტომს, უტიფარ, ჭაბუკურად დაუოკებელ, მაგრამ მაინც ჰალალსა და ძალზედ ნიჭიერ ენდი როდიკს შეეხლება. როდიკი უკვე მეორე წელია, მეოთხედფინალამდე ბულრაობს და პიტის წინააღმდეგ კარიერის პირველ სლემნახევარფინალში მოსახვედრად იბრძოლებს.

იმ დღეს მან კარიერის საუკეთესო სეზონის მქონე წოწოლა არგენტინელს, ხუან იგნასიო ჩელას აჯობა. ენდიბიჭს მარცხენა ფეხი აწუხებს და თამაშის დროს მტკივანი კიდური კარგა ბარაქიანადაც შეეფუთნა, მაგრამ ამის მიუხედავად, მთელი მატჩის განმავლობაში ჯარასავით მიდი-მოდიოდა და ჩიკორივით ბზრიალებდა, ხოლო ფიცხელი განდაგანებისას მოგებულ ურთულეს ქულებს ისეთი ყივილითა და მანჭვა-გრეხით ალნიშნავდა, რომ ლიანგიც კაცურად ახალისა და თავად ხომ სულ მთლად ალეგზნო. გაშმაგებული რამდენჯერმე მსაჯსაც მიეძალა და რაც ჩელასთან ჩოგნაობით დაიკლო, მასთან გინებით და ჭყიპინით აინაზღაურა.

„ფეხი მაგრად მიყმუოდა — ამბობდა ნამატჩევს — მაგრამ ადრენალინი ისე ჭარბად მიჩქეფდა, რომ არაფერს ვიმჩნევდი... ჩემი და პიტის თამაშს რაც შეეხება, მას თაობათა შეხლას დავარქმევდი. ის ჩემი ბავშვობის კერპი იყო და მე მას უდიდეს პატივს ვცემ. აქ მასთან თამაში კი უბრალოდ სიზმარია... მართალია, ჩვენი ორი შეხვედრიდან ორივეში ვიმარჯვე, მაგრამ ეს ხომ მისი სახლია. თავის სახლში კი ის ძალზედ სახიფათო ხდება“.

სამპრასსა და როდიკს შორის უძლიერესი ნახევარფინალში სხენგ შალკენსა (24) და ფერნანდო გონსალესს (28) შორის უმჯობესს გაედავება. სლემნახევარფინალში არც რომელიმე ამათგანს უთამაშია.

თუმცა თავიანთ მეტოქეებს იმ დღეს ორივე მაინც დიდოსტატურად გაუმკლავდა. ჰოლანდიელმა სამგზის მეროლანგაროსე ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი აოტა, ჩილელმა კი ფრანგი არნო კლემანი დაჯაბნა.

შალკენს, ვინაც კვირას 26 წლისა შესრულდა, გუგასთან აქამდე შვიდჯერ ეთამაშა და ექვსჯერ დამარცხებული ყო. ეს მისი პირველი საამერიკო და მეორე საამსეზონო სლემმეოთხედფინალი იქნება — ეგებ გახსოვდეთ, წლევანდელი უიმბლდონის ბოლო „რვეულში“ მან მომავალ ჩემპიონ ლეიტონ ჰიუიტთან დათმო. ამ უიმბლდონამდელ 28 სლემტურნირზე შალკენი მესამე წრეს ერთხელაც ვერ გასცილდებოდა.

რაც შეეხება გონსალესს, ის სულაც თავის პირველ სლემმეოთხედფინალში გავიდა. 22 წლის სანტიაგოელი მესამე ჩილელია, ვინაც კი ოდესმე აშშ-ის ღია პირველობის მეოთხედფინალამდე ნაჩოგნავება. გონსალესამდე ჩილელთაგან ამის გაკეთება მხოლოდ ხაიმე ფილოლსა (1975) და მარსელო რიოსს (1997) მოუხერხდათ.

შალკენი: „მე შეუქცევლად ვმაღლდები რეიტინგსიაში, ყოველწლიურად სულ უფრო მაღალ საფეხურს ვიკავებ. ეს იმის შედეგია, რომ დიდ ტურნირებზე სულ უფრო და უფრო უკეთ გამოვდივარ... გონსალესი ამომავალი ვარსკვლავია, მას ნებისმიერი მეტოქის დამარცხება ძალუძს. არ დაგავიწყდეთ, ცინცინატის მასტერსტურნირზე მან ნახევარფინალამდე გააღწია, აქ კი, სანამ კლემანს სძლევდა, ხუან კარლოს ფერეროსაც (7) მოერია. ჩინებული ხელწალმა აქვს და თუკი სადავეები ხელთ იგდო, მაგრად გამრჯის“.

კუერტენი: „ჩემთვის კარგი ტურნირი იყო, ალბათ წელს ჩემი საუკეთესო ჩოგბურთი ვითამაშე. ასე რომ, ძალიან ბედნიერი ვარ. სხვა თუ არაფერი, აქ მარატ საფინის დამარცხება შევძელი და საკვეხნად ესეც მეყოფა. რაც მთავარია, ჩემი თამაში დავიბრუნე. ნაოპერაციევს სლემტურნირზე გამოხვიდე და მიჯრით რამდენიმე მატჩის მოგება შეძლო, თავდაჯერებულობისა და თვითრწმენის აღსადგენად ამას ვერაფერი შეედრება“.

ახლა მდედრიონს რაც შეეხება.

ქალთა დღის უმთავრესი სახილველი — აკი გუშინვე გაუწყეთ — ვინუს უილიამსისა (2) და მისი ტანად ჩია, მაგრამ სულით მედგარი მეტოქის, ჩანდა რუბინის მატჩი გამოდგა.

26 წლის ჩანდამ იანვარში მუხლზე მძიმე ოპერაცია გადაიტანა და კორტს მხოლოდ გვიანგაზაფხულზე მოუბრუნდა, მაგრამ უმალვე ჩაუქი ფორმის მომძიებმა ჯერ ესპანეთის ღია პირველობის ფინალს უწია, მერე როლან გაროსის მერვედფინალშიც გავიდა, ხოლო ივნისსა და აგვისტოში, შესაბამისად, ისტბორნისა და ლოს ანჯელესის ტურნირები დააწიოკა. ლოს ანჯელესური კვირეულისას მან ზედმიწევნით სძლია ზეპურ მდედრთა სამ ბობოლა წარმომადგენელს — სერენა უილიამსს, ელენა დოკიჩსა და ლინდსი დევენპორტს.

ცხადია, ვინუსთან მისი იმდღევანდელი შეხლის კონტექსტში ჩვენ უმთავრესად მის მიერ სერენას ძლევის (6:2, 4:6, 7:5) ამბავი გვაინტერესებს, რადგანაც, მართალია „კინაღამ არ ითვლება“, მაგრამ ჩია ჩანდამ უმცროსი შავდაიკოს დარად სამშაბათს კინაღამ უფროსი შავდაც მოჩანთა.

იმ დღეს თითეულმა ჩვენგანმა კიდევ ერთხელ იხილა, თუ როგორ შეიძლება მამა რიჩის ჯანიანი და სხმარტალა გოგონების დამარცხება. რეცეპტი ერთი შეხედვით ძალიან მარტივია — მისი ინგრედიენტებია სიმამაცე (ესე იგი — არ ჩაიფახო), მიძალება (ესე იგი — გალმა გადავე) მთელ კორტზე ცქაფი მოძრაობა (ესე იგი — არაფერი დაუთმო) და... უნებლიე შეცდომები! ეს უკანასკნელი იმას ნიშნავს, რომ მათმა მოცილემ რაც უნდა არ ჩაიფახოს, გალმა ედავოს და არაფერი დაუთმოს, თავად შავდებმა ძალლთუმრავლესად თუ არ მიჰქარეს, სენსაცია მაინც არ გამოცხვება.

იმდღევანდელ მატჩში ვინუსმა 41-ჯერ მიჰქარა და ამდენივე ქულიანი დარტყმა მოაქუჩა. ჩანდა მხოლოდ 25-ჯერ შეცდა და 15-ქულიან დარტყმაზე მეტი რომ დაეგროვებინა — განსაკუთრებით მაშინ, როცა მესამე სეტში ანგარიში 5:5 იყო და მას ორი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა — ეგებ რამეს გამორჩენოდა კიდეც.

ასეა თუ ისე, ამ ორსაათიანმა მატჩმა შარშანდელი და იმისწინდელი ჩემპიონი მის მეექვსე საამერიკო სლემტურნირზე მეექვსევე მეოთხედფინალში შეაპარპაშა. ფლეშინგ მედოუზზე მას უკვე 18 მატჩია, არავის წინაშე თავისი ბარაქიანი ქედი არ მოურკალავს.

მონიკა სელეშმა უნიათოდ, უმულამოდ და უნაპერწკლოდ მოთამაშე მარტინა ჰინგისი დააჩოქა. ეს მათი მეოცე შეხვედრა გახლდათ და, რა საოცარია, რომ ძველებურად ველარ, მაგრამ მაინც ჯიქურ მოხათქუნე იუგოამერიკელმა სლოვაკოშვეიცარიელს ოდენ მე-5 მოგება წაჰგვარა.

წლეულს ოპერაციის გამო სამთვე გაცდენილი ჰინგისი ახლა ჩამქრალი მნათობის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს, ვიდრე შავდათა ბატონობის წინააღმდეგ მეჯვაროსნე ქალისას.

„ადრე თამაში უფრო ნელი იყო და ფიქრისთვის მეტი დრო გქონდა — საუბრობდა ჰინგისი ნამატჩევს — ახლა კი ყველაფერი ათმაგად ასწრაფდა. ზოგჯერ უბრალოდ ბურთის დაბრუნებაზე გიწევს ზრუნვა, იმის გააზრებას კი ველარ ასწრებ, რომ ამ დაბრუნებით რაღაც ახალი კომბინაცია წამოიწყო — იმასლა ცდილობ, დააბრუნო რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება ძლიერად. ჩემს ამჟამინდელ მდგომარეობაში კი ასეთი რთული ამოცანის შესასრულებლად არც ძალა მაქვს და არც სიმარდე. ჩემი უმთავრესი პრობლემა ახლა სწორედ ესაა. მენტალური პრობლემები? მერწმუნეთ, ამაზე ახლა ყველაზე ნაკლებად ვფიქრობ. როცა ჯანზე ხარ და კორტზე ყველანაირი ამოცანის შესრულება შეგიძლია, მაშინ მენტალური მხარე ავტომატურად გიწესრიგდება“.

მოგაგონებთ, რომ 1997 წლის ჩემპიონი ნიუიორკული საკორტეთიდან მეოთხედფინალამდე 1995 წლის ანუ იქ მისი პირველი გამოჩენის შემდეგ ალარ გაეგდოთ. მაშინ მარტა 14 წლის ცუგრუმელა გოგოცუნა იყო...

სელეში: „გაუთავებლად იმას მეკითხებიან, ეს ჩემი უკანასკნელი გამოსვლაა აშშ-ის ღია პირველობაზე თუ არა. მეც გაუთავებლად ვპასუხობ, რომ ჯერ არსად წასვლას არ ვაპირებ. თავადვე ხედავთ, კვლავაც მაღალ დონეზე ვჩოგნაობ, ჩოგბურთს ჩემთვის კვლავაც უზომო სიხარული და სიამოვნება მოაქვს და მე არ მსურს, საკუთარი ხელით მოვისწრაფო ის... კორტის მიტოვება ჩემთვის ახლა სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ამას მხოლოდ მაშინ გავაკეთებ, როცა მოგზაურობისა და თამაშისგან ისე დავიღლები, რომ კორტისკენ გახედვაც არ მომინდება“.

სხვაფრივ — უფროსი დისგან განსხვავებით კვლავაც დამაჯერებლად და უყოყმანოდ გაირჯა ქალთა მეპირველე სერენა უილიამსი. სლოვაკი დანიელა ჰანტუხოვას 55 წუთში დასარბევად ის ისევ შავტყავა სექსკომბინეზონში გამოიშხვართა და ნამატჩევს ამაზე ლაქლაქს არაფერი ერჩია — კატასავით დავხტოდიო, იღრიჯებოდა.

1998 წლის ლინდსი დევენპორტს კი, ვინაც საფინალო საგზურს სერენას დღეს უნდა შეეცილოს, 189-სანტიმეტრიან რუს ელენა ბოვინასთან მხოლოდ პირველ სეტში გაუჭირდა, მაგრამ შემდეგ მატჩის სადავეები უკუიპყრა და სეზონის პირველ სლემნახევარფინალში მისთვის ჩვეული დამთრგუნველობით შეტუნტულდა.

**ლევან ძილაურაძე**



მონიკა სელეში

REUTERS ნიუ იორკიდან



მარტინა ჰინგისი



ნუგზარ ბარდაველიძის ფოტო

# ქართულმა ძიუდომ მსოფლიოს სკოლა და ტურნირი შეახსენა

*გუშინ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებს უმასპინძლა. გუნდს, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა. მანამდე, გაზაფხულზე, ქართველი ძიუდოისტები ევროპის ჩემპიონები გახდნენ. მილოცვების შემდეგ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებმა ჟურნალისტებისთვისაც მოიცალეს და დეპარტამენტის სააქტო დარბაზში პრესკონფერენცია გამართეს. ჟურნალისტთა კითხვებს ნაკრების მწვრთნელი შოთა ხაბარელი პასუხობდა.*

... **დავიწყებ** იქიდან, თუ რა წინააღმდეგობები შეგვხვდა ბაზელში გამგზავრებამდე. უფულობის გამო ჩემპიონატზე ვერ მივდიოდით. ლიკანში კი გავიარეთ შეკრება, ისიც დიდი წვალებით, მაგრამ ბოლო დღემდე გასამგზავრებელი ფული არ გვქონდა. მე და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი მთელი დღე მისი მანქანით დავდიოდით, ფული რომ გვეშოვნა. იმედი თითქმის გადაგვეწურა, როცა საჭირო თანხა გამოგვიყვეს.

... ტურნირზე თოთხმეტმა ნაკრებმა მოიყარა თავი. წესით, თექვსმეტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბელარუსმა და უკრაინამ უარი თქვეს მონაწილეობაზე. მიზეზი არ ვიცი. კენჭისყრისას, როგორც ევროპის ჩემპიონები, პირველ კალათაში მოვხვდით და შედარებით იოლი მეტოქეები შეგვხვდნენ. ვერ ვიტყვი, გაგვიმართლა-მეთქი, მაგრამ საწყის სტადიაზე იაპონიასა და საფრანგეთს რომ ავცდით, ესეც კარგი იყო. პირველმა მეტოქემ, სამხრეთ კორეამ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია. ორი ბრძოლა ფრედ დასრულდა, რაც ძიუდოში იშვიათობაა. მერე ერთი წავაგეთ, მაგრამ, საბედნიეროდ, მომდევნო სამი მოვიგეთ და ნახევარფინალში გავედით. იქ ირანი შეგვხვდა, რომელიც ბოლო წლებია, საკმაოდ დიდ პროგრესს განიცდის. თანაც სპარსელებს ერთი მსოფლიოს ჩემპიონი და ორი პრიზიორი ჰყავდათ. მართალია, თავიდან 0:2 ვაგებდით, მაგრამ საბოლოოდ 4:3 მოვიგეთ და ფინალში იაპონიას შევხვდით. მანამდე იაპონია ყველა მეტოქეს ისე გაუსწორდა, ერთი ბრძოლაც არ წაუგია. შეგვეძლო 0:7 არ დავმარცხებულიყავით მაგრამ მიზეზთა გამო ეს ვერ მოვახერხეთ. თავს არ ვიმართლებ და არც იმას ვამბობ, ფინალში მოვიგებდით-მეთქი, მაგრამ მსაჯებმა მინიმუმ ორი ბრძოლა წაგვაგებინეს. ჯიქურაული კი ბოლო წუთამდე უგებდა ოლიმპიურ ჩემპიონ კოსეი ინოუეს, მაგრამ მერე უხეშად შეცდა და დამარცხდა. მოლიანობაში შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩვენ სამეულში მოხვედრას ვგეგმავდით, რაც შევასრულეთ კიდეც.

... ბიჭებისა ყველასი კმაყოფილი ვარ. არც ერთს თავი არ დაუზოგავს, მაქსიმუმი გააკეთეს. მინდა, განსაკუთრებით გრიგოლ მამრიკიშვილი გამოვყო. მას ერთი წელიწადი გაუცდა ხელის ტრავმის გამო. ჩემპიონატზე სამი შეხვედრიდან ორი მოიგო, ერთში კი იაპონელთან წააგო.

... ასეთი წარმატების შემდეგ ძიუდოს ქართული სკოლა ძალიან დაფასდა. რამდენიმე ქართველ მწვრთნელს უცხოეთიდან მოუვიდა მოწვევა. თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე მონაწილეობის სურვილი კი უკვე ორმოცმა ქვეყანამ გამოთქვა. აქედანვე ცნობილია, რომ იაპონია ორი შემადგენლობით ჩამოვა.

... რაც შეეხება გიორგი ვაზაგაშვილს, მისი ასავალ-დასავალი არ ვიცით. თავად არ გვეხმიანება ჩვენ მას არ მივცემთ უფლებას, სხვა ქვეყნის სახელით იჭიდაოს. მასზე დიდი ფული და შრომაა დახარჯული და ასე ადვილად ვერ წავა. სამი წელიწადია, რაც საქართველოს სახელით არ უჭიდავია, ერთ წელიწადში უკვე შეეძლება, უცხო ქვეყნის ღირსება დაიცვას, მაგრამ ოლიმპიადაზე რომ გამოვიდეს, ამისთვის ჩვენი ოლიმპიური კომიტეტის თანხმობა სჭირდება. ვაზაგაშვილი ნაკრებიდან არ გაგვირიცხავს. თუ დაბრუნების სურვილი ექნება, მივიღებთ და ვიქნებით მეგობრები, ისე როგორც ადრე.

**ბაჩო სვანიძე**



**მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. გერმანია 31 აგვისტო — 15 სექტემბერი**

# ქალები და ქალაქები დაახარისხეს




იტალიელებმა (თეთრ ფორმაში) პირველ ეტაპი სეტის წაუგებლად მოილიეს

**გერმანიაში** მიმდინარე ქალ ფრენბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინ პირველი დახარისხება მოხდა — უკეთესებმა მომდევნო ჯგუფურ ეტაპზე აინაცვლეს, უარესები კი ტურნირს დაემშვიდობნენ. გუნდებთან ერთად ქალაქებიც გაიცხრილა: მსოფლიოს რჩეულ ქალებს ამიერიდან ბერლინი, შტუტგარტი და დრეზდენი უმასპინძლებენ, მანამდე კი ეს საქმე შვიდ გერმანულ ქალაქს ებარა.

მოულოდნელი არაფერი მომხდარა: ყველა ჯგუფიდან ფავორიტები გავიდნენ, მაგრამ ყველაზე რიხით ეს იტალიამ შეძლო, რომელმაც A ჯგუფში ხუთივე მატჩი ისე მოიგო, სეტიც არ წაუგია. ბარემ აქვე ვთქვათ ყველაზე შერცხვენილი გუნდზეც: ეგვიპტელები ისე მიდიან გერმანიიდან, ერთი მოგებული ხელიც არ მოეძევებათ. მათ ჯგუფში კორეამ იბატონა, თუმც არც კუბელ ქალებს უძაბუნიათ: მეორეზე გავიდნენ.

საერთო დავთრით თუ განვსჯით, იტალიელთა შემდეგ ამერიკელმა ქალებმა ილაღეს. მათ უკან ჩამოიტოვეს C ჯგუფიდან გასული რუსეთი და პუერტო რიკო, საერთო ჯამში კი ორად ორი სეტი წააგეს.

ყველაზე დაძაბული ცხოვრება D ჯგუფში იყო, სადაც ბრაზილიამ, ჩინეთმა და საბერძნეთმა თითო მატჩი წააგეს (რა თქმა უნდა, ერთმანეთში), თორემ ამ სამეულსა და მათ თანაჯგუფელ ქვესამეულს შორის ზღვარი ყველაზე დიდი იყო სხვა ჯგუფებთან შედარებით.

ბოლო ტურის მატჩებზე ბევრი არაფერია სათქმელი, ყველა მატჩი მშრალი ანგარიშით დასრულდა ერთის გარდა — განწირულმა ჩეხეთმა მისდარ იაპონიას 3:1 მოუგო.

ახალშედგენილ სამ ოთხგუნდა ჯგუფში თამაშები ხვალიდან გახურდება:

E ჯგუფი კუბა — საბერძნეთი, იტალია — რუსეთი

F ჯგუფი ბულგარეთი — ჩინეთი, კორეა — პუერტო რიკო

G ჯგუფი ბრაზილია — აშშ, გერმანია — ჰოლანდია

**ირაკლი ბერტაია**

**პირველი ჯგუფური ეტაპის საბოლოო ცხრილი**

| A ჯგუფი | | | | | C ჯგუფი | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 5 | 5 | 0 | 10 | აშშ | 5 | 5 | 0 | 10 |
| ბულგარეთი | 5 | 3 | 2 | 8 | რუსეთი | 5 | 4 | 1 | 9 |
| გერმანია | 5 | 3 | 2 | 8 | პუერტო რიკო | 5 | 3 | 2 | 8 |
| იაპონია | 5 | 2 | 3 | 7 | დომინიკის რეს. | 5 | 2 | 3 | 7 |
| ჩეხეთი | 5 | 2 | 3 | 7 | არგენტინა | 5 | 1 | 4 | 6 |
| მექსიკა | 5 | 0 | 5 | 5 | კენია | 5 | 0 | 5 | 5 |
| **B ჯგუფი** | | | | | **D ჯგუფი** | | | | |
| სამხრეთ კორეა | 5 | 5 | 0 | 10 | ბრაზილია | 5 | 4 | 1 | 9 |
| კუბა | 5 | 4 | 1 | 9 | ჩინეთი | 5 | 4 | 1 | 9 |
| ჰოლანდია | 5 | 3 | 2 | 8 | საბერძნეთი | 5 | 4 | 1 | 9 |
| რუმინეთი | 5 | 2 | 3 | 7 | პოლონეთი | 5 | 2 | 3 | 7 |
| კანადა | 5 | 1 | 4 | 6 | ტაილანდი | 5 | 1 | 4 | 6 |
| ეგვიპტე | 5 | 0 | 5 | 5 | ავსტრალია | 5 | 0 | 5 | 5 |



# გუჯაბიძე მთლად გაჯიქდა: 7-ათასიანების სათვალავი აერია
## ზოგი ადის, ზოგი ჩამოდის, ზოგიც იღუპება

**თბილისელმა** მთამსვლელმა ბიძინა გუჯაბიძემ შუა აზიაში, ტიან-შანის მთებში აღმართული ორი შვიდათასიანი მწვერვალი, ულამაზესი ხან თენგრი და მრისხანე გამარჯვების პიკი დალაშქრა. ამასთან, იგი ხან თენგრიზე ორჯერ ავიდა. ამ მწვერვალებზე თითოჯერ ასვლა ბევრისთვის მიუღწეველ ოცნებად რჩება, გუჯაბიძემ კი რამდენიმე დღეში ეს სამჯერ შეძლო. თუმცა, ეს მისთვის, შეიძლება ითქვას, ჩვეულებრივი რამაა, რადგან იგი ერთზეც და მეორეზეც პირველად არ ასულა. უჩვეულო და უნიკალური ისაა, რომ გუჯაბიძემ ხან თენგრიდან მეშვიდედ, გამარჯვების პიკიდან კი მეორედ გადმოიხედა. ბიძინას აქტივში ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აღმართული ხუთივე შვიდათასიანია, საერთო ჯამში კი მათზე 16-ჯერ ავიდა, რითაც საქართველოში ყველაზე მეტად დაწინაურებულა. ამ მხრივ მას უახლოესი „მდევრებიც" კი მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან.

ბუნებრივია, ბიძინა გუჯაბიძე „თოვლის ჯიქის" ტიტულის მფლობელია, რაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ხუთივე შვიდათასიანი მწვერვალის დამლაშქრავთ ენიჭებათ. ლენინის პიკის გარდა ბიძინა ყველა მათგანზე არაერთხელ ასულა. ასე რომ, მას ორგზის „ჯიქობისთვის" ამ მწვერვალზე მეორედ ასვლაც მოუწევს.

მაგრამ, რა დაუკარგავს ბიძინა გუჯაბიძეს ხან თენგრიზე, რომელიც ახლა ზედიზედ მეექვსედ და მეშვიდედ დალაშქრა? ეს კითხვა ალბათ მკითხველსაც დაებადა და თავდაპირველად ჩვენც ამით დავინტერესდით.

— საქმე ის იყო, რომ აზერბაიჯანელმა მთამსვლელებმა მთხოვეს, ჩვენი ალპინიზმის ისტორიაში პირველად გადავწყვიტეთ შვიდათასიანზე ასვლა და იქნებ ჩვენი ხარჯით ხან თენგრიზე გამოგვყვეო — გვიამბობს ბიძინა გუჯაბიძე — მეც ბევრი აღარ მიფიქრია. შუა აზიაში გამგზავრებამდე ისინი სავარჯიშოდ საქართველოში ჩამოვიდნენ და ამ ზაფხულს მყინვარწვერზე ორჯერ ავედით. რაც შეეხება ხან თენგრის, აზერბაიჯანელთა ექსპედიციაში, ჩემს გარდა, სამნი იყვნენ: აკიფ რუსტამოვი, იაგუბ ასადოვი და სარიდან მურსაკულოვი. მწვერვალისკენ ოთხივენი ერთად გავუდექით გზას, მაგრამ მიზანს მე და რუსტამოვმა მივაღწიეთ, ასადოვმა და მურსაკულოვმა 6 800 მეტრზე ზემოთ ასვლა ველარ შეძლეს.

**— ეს რომელი მურსაკულოვია, ყოფილი მარნეულელი მთამსვლელი ხომ არა?**

— სწორედ ის მურსაკულოვია. მისი მშობლები და დედმამიშვილები ახლაც მარნეულში ცხოვრობენ. გეხსომებათ, მურსაკულოვი დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე მოწყობილ ამიერკავკასიელთა ექსპედიციაშიც იყო, მაგრამ მაშინ ევერესტის ფერდობებზე იგი შეუძლოდ გახდა.

**— რაკი ერთხელაც მიზანს მიაღწიეთ, მეორედ რაღამ აგიყვანათ ხან თენგრიზე? უვალი გზით ხომ არ დალაშქრეთ ეს მწვერვალი?**

— არა, ისევ იმავე, კლასიკური მარშრუტით ავედი. სახელად კლასიკური კი ჰქვია, მაგრამ მე-5ბ კატეგორიის სირთულისაა. მთამსვლელობაში მეტ-ნაკლებად გარკვეულმა ხალხმა იცის, რომ მასზე რთული მხოლოდ მე-6 კატეგორიაა. ახლა, როცა აზერბაიჯანელებთან ერთად ვეშვებოდი, ღამე 5 800 მეტრზე გავათიეთ. იქ სხვა ქვეყნების მთამსვლელებიც იყვნენ, მეორე დილით კი კვლავ ზემოთ მიმავალ გზას გავუყევი, ამჯერად მარტო.

**— ესე იგი, სოლო ასვლაც შეძელით.**

— არც მთლად ასეა საქმე. ამ მწვერვალზე ეს მეტად საძნელო საქმეა, რადგან მის ფერდობებზე ბევრი მთამსვლელია. ზოგი ადის, ზოგი ჩამოდის, ზოგიც იღუპება. ასე რომ, მწვერვალისკენ მარტოც რომ წახვიდე, გინდა თუ არა, ეულად მაინც ვერ დარჩები.

**— აზერბაიჯანელებმა გამარჯვების პიკიდანაც თქვენი თანადგომით გადმოიხედეს?**

— არა, ეს მათ გეგმაში აღარ შედიოდა. ხან თენგრის მერე ნოვოსიბირსკელთა ექსპედიციას შევუერთდი. მათ გამარჯვების პიკის ტრავერსის განხორციელება სურდათ. ეს მწვერვალი შვიდათასიანთაგან ყველაზე ჩრდილოეთით აღმართული პიკია, რაც მის ავ ზნე-ხასიათსაც განაპირობებს და ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა. 5 800 მეტრზე ასულებს თავს საშინელი ავდარი დაგვატყდა. ლამის კარვებში ჩავიმარხეთ და გაცლა ვამჯობინეთ. იქიდან მობრუნებული ესპანელებს შევუერთდი. მათ რუსი დიმა გრეკოვი თავისებურ გიდობას უწევდა. ერთი თურქიც იყო, აკიმი. მათთან ერთად 5 800 მეტრამდე რომ ავედი, ამინდი კვლავ აირია. ესპანელებმა პირი იბრუნეს, მე, დიმამ და აკიმმა საღამო გამოქვაბულში გავატარეთ. ეს გამოქვაბული ისეთი დიდი თოვლით დაიფარა, რომ ლამის გავიგუდეთ. ამიტომ არაერთხელ მოგვიწია მისი გამოთხრა. მერე კვლავ გზა გავაგრძელეთ, მაგრამ 6 900 მეტრზე, მწვერვალ ვაჟა ფშაველაზე, რომელიც გამარჯვების პიკისკენ მიმავალ გზაზეა, თურქს ფეხები საშინლად მოეყინა და იძულებული გახდა, უკან გაბრუნებულიყო. მას რუსიც მიჰყვა, მე კი ახლა ჩეხებთან გადავინაცვლე და მათთან ერთად მწვერვალზეც ავედი. იმავე დღეს 6 900 მეტრზე დავეშვით, ღამეც იქვე გავათენეთ, იქიდან კი საშინელ ქარში და თოვლში 14 საათი მოვუნდით საბაზო ბანაკში დაბრუნებას.

ეს ლაშქრობა უმსხვერპლოდ მაინც არ დასრულდა — რუსთა იმ გუნდს, რომლებთანაც თავდაპირველად ვიყავი, ერთი ციმბირელი დაეღუპათ. მას ორგანიზმი გამოეფიტა და ფილტვებიც შეუშუპდა. ქვემოთ ცოცხალმა კი ჩააღწია, მაგრამ საბაზოდან შვეულმფრენით სასწრაფოდ საავადმყოფოსკენ რომ გააქანეს, გზაში დაიღუპა. ის თურქი, სულ ცოტა ფეხის ცერა თითების უამპუტაციოდ ვერ გადარჩებოდა.

**ავთანდილ ბურასაშვილი**



ხან თენგრი



# ოსტანკინოდან

ეს მოსკოვ-ქალაქის იუბილეზე მოხდა: ათმა თავზეხელაღებულმა მხტომელ-პარაშუტისტმა ოსტანკინოს ანძიდან ისკუპა და 885 წლის რუსთა დედაქალაქს გადაულოცა. ოსტანკინოს ანძის სიმაღლე 365 მეტრია.



# კოჩრეინული ჭირები



კანადაში, ალბერტას პროვინციის კოვბოურ კოჩრეინში კოჩრეინული როდეო გახურებულა. ხეირი აქედან ცოტაა: მართლაც დიდოსტატი უნდა იყო, რომ საჟალდებულო რვა წამი გაძლო ხარის ზურგზე და მოგებაზე მერეღა იფიქრო. კრეიგ ოუენმა ეს რვა წამი ვერ გაძლო და მალაყით გაფრინდა ტალახში. უარესი დაემართა კოვბოი სტივ მერჩენთს, ვისაც ზემოდან დაეზვავა უტვინო ხარი და ჩლიქის ცემით თავიც გაუხეთქა.



# სიკვდილი მთებში



პატაგონიის მთებში, სან კარლოს დე ბარილოჩის მიდამოებში ზვავს ჩაუტანია სამი მოგზაური სტუდენტი, რომელთა გვამებსაც მაშველები დაეძებენ. მოულოდნელად ზვავს სტუდენტთა ექსპედიციის სულ შვიდი წევრი მოუკლავს, ექვსი მძიმედ დაშავებულა.

# რაიხსტაგის წინ

შუა ბერლინში, ზედ რაიხსტაგის წინ გაუმართავთ ჭოკითმხტომელთა სალაღობო შეჯიბრი, რითაც იმას ახსენებენ ხალხს, რომ სულ მალე მძლეოსანთა ოქროს ლიგის მორიგი ეტაპი ამ ქალაქში გაიმართება. ეს მხტომელი კი გერმანელი ტიმ ლობინგერი გახლავთ, რომელსაც 5,65 მეტრი დაუძლევია ამ ვარჯიშობისას.






სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაб ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge